# პიონერი

7
ივლისი
1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტისა
და ვ. ი. ლენინის
სახელობის ნორჩ
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო
ჟურნალი

7

ივლისი
1959

გამოცემის წელი
XXXIII

რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი).

საბლიტგამი

## შინაარსი



გვ.
ვ. თორდუა—გულის შუქი (დოკუმენტური მოთხრობა. გაგრძელება) . . . . . . . . . . . . 2
ზ. ლეშკაშელი—ბუცები . . . . . . . . . . . 9
ს. შამფრიანი—ჩემი სოფლის ძველი კოშკი (ლექსი) 9
ა. ჩხარტიშვილი—ხელოვნების მუზეუმის დარბაზებში (წერილი) . . . . . . . . . . . . 10



რ. ჯაფარიძე—ზარმაცი მამუკა (მოთხრობა) . . 12
გ. კაჭახიძე—შინ ვბრუნდები არტეკიდან (ლექსი) 15
ა. ხომერიკი—პიონერული თეატრი (ნარკვევი) . . 15
ბ. შატბერაშვილი—ატომის მანქანა (წერილი) . . 19
რ. ნინუა—დაეხმარე უფროსებს საოჯახო საქმეებში (წერილი) . . . . . . . . . . . . . . . 20
ლ. პაიჭაძე—შეისწავლე ხალხური ზეპირსიტყვიერება (წერილი) . . . . . . . . . . . . . 21



ვ. ბიანკი—საბედისწერო ნადირი (მოთხრობა, თარგმნა თ. გორდელაძემ) . . . . . . . 22
ირ. ხმალაძე გავამრავლოთ ყვავილები (წერილი) 24
იცი თუ არა შენ? . . . . . . . . . . . . . 24
ქ. გოგიაშვილი—ნამცეცა (პიესა) . . . . . . . 25
საინტერესო თემაზე . . . . . . . . . . 30
მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . . 31
გასართობი . . . . . . . . . . . . . . 32



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის გ. როინიშვილს, გარეკანის მეორე გვერდზე რ. ერისთავის ფოტოეტიუდი, მესამეზე—იუმორი, მეოთხეზე—თ. მირზაშვილის ნახატი—„ტურისტები“.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: ჯ. ლოლუას, დ. ხახუტაშვილის, შ. ცხადაძის, თ. სამსონაძის და გ. ფოცხიშვილის მიერ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ვლადიმერ თორდუა

# გულის შუქი*

ნახ. ჯ. ლოლუასი

(დოკუმენტური მოთხრობა)

## ნაწილი მესამე

### 1.

როგორც თესვას ხვნა უძღვის წინ, ასევე ფრონტზე შეტევას—საარტილერიო მომზადება. არტილერია შეტევის წინ ბრძოლის ველზე იმასვე აკეთებს, რასაც ტრაქტორი თესვის წინ მინდორზე. სამხედრო ენით ამას ჰქვია საარტილერიო დამუშავება.

მიწისძვრაც კი არაფრად ჩაითვლებოდა იმ გუგუნთან. აბობოქრებული ზღვის ამთაგორებულ ტალღებივით ზედიზედ გადადიოდა მძიმე არტილერიის ცეცხლის ლავა. მენაღარედ გამოდიოდა ბომბდამშენი ავიაცია, მერე შორიდან იწყებდნენ „კატიუშები"—ეს ჩანგები საომარი მანქანის დიდ ორკესტრში; მათ ერთვოდა ყველა ყალიბის ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების ზანზარი, და ბორგავდა ცა და დედამიწა.

მეორე ღამე იყო უტევდნენ ჩვენი ფრონტები.

უკუნეთ ღამეში ოთარის თვალწინ მიიზლაზნებოდა პირველად გეოგრაფიის სახელმძღვანელოში გაცნობილი დნესტრი—უხვი არა მარტო წყლით, არამედ საიდუმლოებებითა და მოულოდნელობითაც.

აქედან გზა იხსნებოდა ცისფერი დუნაისაკენ.

ეგრეთწოდებული პირველი ნახტომის ჯგუფი, რომელშიც ოთარი შედიოდა, კანჯოებზე იტვირთებოდა. ავანგარდულ კანჯოზე იყვნენ უფროსი ლეიტენანტი კოჩკინი, პირველი სტატიის ზემდეგი პავლოვი და... კატია... კანჯოზე ამათ შორის ერთადერთი უცხო—ოთარი იყო.

ოთარს გული წინ უსწრებდა, მოსახდენი მალე მომხდარიყო და მტერთან ბრძოლაში ჩაბმულიყო; ესწრაფოდა იმ დიდ ამბებს, რაზეც მსოფლიო უნდა ალაპარაკებულიყო—გაღმა იყო გერმანელების მიერ ციხე-სიმაგრეებად ქცეული ქალაქები ბენდერი და აკერმანი, იასი და კიშინიოვი, მტრის მიერ დაკავებული პირველი ქალაქები, რომელთა გათავისუფლებაში ოთარს მონაწილეობა უნდა მიეღო. აქედან კი გზა იდო დუნაისაკენ.

ამ კანჯოზე რაღაც გმირობის სუნთქვა ბობოქრობდა. შესაძლოა ოთარს ამას ისიც შთააგონებდა, რომ მის ირგვლივ ქერჩის გმირები იდგნენ და არწივის თვალებით გასცქეროდნენ გაღმა ნაპირს ცალ ხელში ავტომატით, წელზე ხელყუმბარებით...

ხან აქ, ხან იქ გადაუქროლებდა დნესტრს გერმანელთა რაკეტები და ეს იყო ყველაზე არასასიამოვნო—თითქოს გათენდაო, წამით შიშვლდებოდა მდინარე, ხოლო რაკეტის ჩაქრობის შემდეგ კიდევ უფრო უკუნეთი ჩამოწვებოდა ხოლმე. ნაპირი კი ახლოვდებოდა.

რაც არტილერიამ ვერ გააკეთა და ვერც „მესერშმიტებმა" მოახერხეს, ახლა ყველაფერი ერთბაშად უნდა ეზღოთ დნესტრის ნაპირზე ჩაწყობილ გერმანელთა ნაღმებს. ეს ნაღმები კი აღმოჩნდნენ. სადაც კი ჩაუშვებდნენ ნაღმმაძიებელ ჯოხებს, წყლის ბუყბუყი და ტარის ზანზარი იგრძნობოდა.

— დააყეთ ნიჩბები!—ბრძანა კოჩკინმა. მერე საწვიმარი მოსასხამით გადაეფხორა კანჯოს ფსკერზე რაციას და დაიწყო ირგვლივ მყოფთათვისაც ძლივს გასაგონად:

— ვიძლევი აწყობას! ერთი, ორი, სამი... ვიძლევი აწყობას! ერთი, ორი, სამი... ლაპარაკობს პირველი. ვიძლევი აწყობას!

— მესმის შენი, პირველო, მესმის შენი. მიღება!—ასხივსხივდა რაციაში პასუხი.

---

* გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 5-6

— ნელი სვლა, ნელი სვლა! არიერგარდო, დისტანცია... დისტანცია. მიღება.

კატია, ბორზიკის ზურგს ნდობით მიყრდნობილი, სდუმდა და თავის ფიქრებს მისცემოდა. ოთარივით გულით წინ უსწრებდა კანჯოს სისწრაფეს, მაგრამ ახლა ეს კანჯოც იდგა და მას აკვანივით არწევდა დნესტრის ნელი ტალღები.

ვის, თუ არა ოთარს, შეეძლო ღრმად ჩასწვდომოდა კატიას ფიქრებსა და განცდებს. განა ყოველ წუთს მოსალოდნელი არ იყო ასეთსავე განცდებს სუნთქვა შეეკრა ლიასთვისაც?

— ბორზიკ!

— პირველი სტატიის ზემდეგი ბორზიკი!

— ორი კაცით ნავში! ამოცანა განაღმვა. ორი სიგნალი — „საფრთხეა“, ერთი სიგნალი — „გზა ხსნილია“ — ბორზიკ!...

— არის!

— ...მოგაგონებ: მენაღმე ერთხელ სცდება სიცოცხლეში... ბედნიერი ცურვა!

ის ორი კაცი კოჩკინს არ დაუსახელებია — მას ბორზიკთან ჰქონდა საქმე. მაგრამ მაინც დაძაბული ყურადღებით უთვალთვალებდა იგი ამ სიბნელეში, თუ პირველად გადაშვებული ბორზიკის კვალდაკვალ ვინ ჩაცოცდებოდა ნავში. ჯერ იყო პავლოვი, და ეს კოჩკინს არც გაჰკვირვებია. მეორე იყო...

— ეს რომელია? — იკითხა კოჩკინმა.

— ქართველი ჭაბუკი, თბილისელი კომკავშირელი, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო! — სხვებს დაასწრო პასუხი კატიამ. ამ სიტყვებში როგორღაც გამოსჭვიოდა დახასიათებაც და რეკომენდაციაც.

ამბავი შეეხებოდა ყველაზე ფაქიზ, ზუსტ, სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე რომ დაგდებს, ისეთ საქმეს — განაღმვას, და ისიც წყალში! ნავიც კი რაღაც ახმახ, მოუხეშავ, უზარმაზარ, თითქმის ხელისშემშლელ რამეს წარმოადგენდა. ხოლო თუ ამ საქმეს საკუთარი სხეულით არ შეეხებოდი, არაფერი გამოვიდოდა. იგი უნდა გეგრძნო. უკან კი მთელი ხმელეთი დაძრული იყო და დნესტრზე ნელი ტივტივით ახლოვდებოდა. მას ნაპირისაკენ გზა უნდა გაეკაფოდა.

ტრუსების ამარანი, ხელში ნაღმმაძიებლებით, კისერზე გამობმული ვეება მაკრატლებით ორნი ფრთხილად ჩაეშვნენ ნავიდან წყალში. ნავის ერთ ქიმს ოთარი დაეკიდა ცალი ხელით, მეორეს — პავლოვი. ბორზიკი ფრთხილად უსვამდა ნიჩბებს და მათი განკარგულების მიხედვით არეგულირებდა ნავის მოძრაობას.

ცალ ფეხს ფრთხილად ამოძრავებდნენ ოთარი და პავლოვი წყალში. ყველა გრძნობა ახლა ამ ფეხის ტერფსა და ცერში იყო კონცენტრირებული — რას წააწყდება ეს ფეხი? როგორ წააწყდება? თუ უხეშად, გაუფრთხილებლად, მაშინ — მშვიდობით! თუ უვნებლად, მაშინ — იქვე ჩაყვინთვა და მაკრატლების ამოძრავება მავთულების გადასაჭრელად, რომლებშიც საბრძოლო მუხტი გადის.

— არის! — ამოსძახა ოთარმა ბორზიკს.

— არის! — მოჰყვა მას პავლოვის შეუკავებელი ძახილი და ენაზე იკბინა.

ნაღმები წყალში ტივტივებდნენ. ნაღმმაძიებლის ტარიდან მთელ ტანში დაუარა მათ ნაცნობმა ზრიალმა. მოსცილდნენ ნავის ძგიდეებს, სიმაღლეზე ჩადგნენ წყალში, ცურვით; ფსკერი ჯერ არ იგრძნობოდა.

ახლა მავთულებია საძებარი, რომლებშიც მუხტი გადის.

ოთარმა ჩაყვინთა, მის თავში მღვრიეა ფიქრებიც, მოგონებებიც, როგორი მღვრიე და შავიც არის საიდუმლოებით მოცული დნესტრი.

— არის მავთული! — ამოსძახა თითქოს ჩურჩულით ბორზიკს ჩხეიძემ და წყლიდან ამოათრია გადაჭრილი მთელი ხლართი, თითქოს მისი დანახვა ვინმეს შესძლებოდეს.

— განაღმულია! — მოისმა ახლა პავლოვის ხმა, — დავიძრათ დინების მიმართულებით!

როცა ბორზიკის ნავს ერთი სიგნალის შემდეგ კოჩკინის კანჯო უახლოვდებოდა, კვლავ გაისმა რაციაში უფროსი ლეიტენანტის მონოტონური ბუტბუტი:

— მეექვსე! მეექვსე! მეექვსე!... ვიძლევი აწყობას, ვიძლევი აწყობას! ერთი, ორი, სამი!.. ყურადღება, მეექვსე! მიღება!

— კარგად მესმის შენი, პირველო! კარგად მესმის შენი!..

— სრული სვლა, სრული სვლა... არიერგარდო, წინ! მიღება!

ხან აქ, ხან იქ გაიკიაფებდა გზახსნილობის სიგნალი და ბობოქრობდა ახლა დნესტრი ჩვენი ჯარებისა და ფლოტილიის საცურავი საშუალებების ამდენ ხანს შეკავებული და ახლა თავაწყვეტილი იერიშული წინსვლისაგან.

იძალა ახლა მტრის არტილერიის უწესრიგო ცეცხლმა.

შუაღამე დიდი ხანია მიიწურა. ხან აქ, ხან იქ ნელინელ მკრთალდებიან და ჰქრებიან ცაზე ვარსკვლავები.

მიარღვევენ კატერები ტალღებს ნაპირისაკენ.

2.

— პოლუნდრა-ა-ა! — იჭექა ერთად რამდენიმე ხმამ პირველი ნახტომის მეზღვაურთა შორის. ამ ხმებში ოთარი არჩევდა მარცხენა ხელში ავტომატით და მარჯვენაში გრანატით წინ მიმავალი ბორზიკის ძახილს. მას პავლოვი მიჰყვებოდა მარჯვნივ.

ჯერ მოკლედ, მერე გაბმით, როგორც ტელეგრაფის აპარატიდან, ისმოდა ტყვიამფრქვევების ტუკტუკი ტრანშეებიდან და კვლავ წყდებოდა — იქნებ ჩვენების გრანატების ხმა ახშობდა.

„ეს არის?“ — გაუელვა ოთარს, როცა უკვე პირისპირ შეება მტერს. ახლა ისინი არა თუ ჩანდნენ, არამედ

გრანატის ტყორცნის სიახლოვეს იყვნენ,—აი, ამას ჰქვია ბრძოლა, თორემ იბობღე მინდორზე, ან იფორთხე წყალში, როცა მტერს ვერა ხედავ!“

ორი დიდი თავი წამოიზარდა უცებ ტრანშეიდან, ერთი—მუზარადიანი, მეორე—შიშველი. ოთარმა კბილით მოგლიჯა მცველი ლიმონ-გრანტს და ტყორცნა, მაგრამ, თითქოს რაღაცამ უჯიკავაო, გვერდზე გადავარდა, სუნთქვა შეეკრა. თავის აწევა მოინდომა, მაგრამ ახლა ასე გაუნძრევად წოლა სიცოცხლესავით გაუტკბა.

— ამხანაგო მატროსო!.. ამხანაგო მატროსო!..

ესმის ოთარს, ყველაფერი ესმის, ოღონდ განძრევა და, უფრო მეტად, პასუხის გაცემა უძნელდება.

— გაფორთხდი უკან, ხრამისაკენ, დაჭრილებთან. ნავში ჩაგსვამენ...

„ნავში ჩაგსვამენო?!“—თითქოს ნიშადურის სპირტი აყნოსინესო, მძიმედ მოიბრუნა თავი, წამოწევით ვერ წამოიწია—მიწა ეყარა ზურგზე.

„ნოკაუტი!“—გაიფიქრა ოთარმა,—ყუმბარის ლავამ დამაგუნდავა!“

— აჰ, კატია ხარ?.. მე არაფერი, მე სისხლი არა მდის.

— მომქიდე ხელი კისერზე, ჰა!

— სხვა დროს, კატია, ახლა მე თვითონ...

ჯერ ხელებზე დაყრდნობით, მერე ნელა, ნელა წამოიმართა, თავი გადააქნია და დაიძრა წინ, ჯერ ნელა, ხოლო შემდეგ სირბილით.

ტრანშეებზე რომ გადადიოდა, ჩაიხედა. ადამიანებს შიგ უხერხულად „ეძინათ“. ასე როგორ „მოწყობილან?“ ზოგს პირდაღებულს, ზოგს თვალგახელილს, გვერდზე უდარდელად თავგადაგდებულს, ზოგსაც ძალიან „ფეხზელად“—ოდნავ მოკაკვულს, თითქმის ფეხზე მდგომს, ტრანშეის კედელზე მიყრდნობილს „ეძინა“, რადგან მარცხნიდან და მარჯვნიდან სხვები შესდგომოდნენ.

„რა უდარდელები არიან, რა აძინებთ ამ ორომტრიალში!“

ეძინათ მათ ისეთი ძილით, რომლიდანაც ვერასოდეს გამოიღვიძებდნენ.

„არ გაუგონიათ ნეტავ მათ ბამლერის ჭკუისდარიგება? არ მოასმენინებდნენ საცოდავებს!“

— სტუდობეკერზე, ჩხეიძე, სირბილით!—გააწყვეტინა ფიქრი კოჩკინმა.

მანქანაზე ოცდაორი მეზღვაურისაგან შემდგარი ჯგუფი ისხდა ავტომატებით, ტანკსაწინააღმდეგო თოფით, ორი ხელის და ერთი დაზგის ტყვიამფრქვევით შეიარაღებული. ისინი, როგორც მზვერავები, ერთკილომეტრიანი დისტანციით წინ უნდა გაძღოლოდნენ ამფიბიებით გადმოსხმულ მეავტომატეთა მანქანებს, ხოლო მათ წინ მიდიოდა ჯავშნიანი ავტომანქანა. ამოცანა იყო—გზა გადაეჭრათ უკანდახეული მტრის ჯარებისათვის, რომლებიც დუნაისაკენ გაჭრას ცდილობდნენ.

დაბა ტიტარბუნართან, საწყისი პუნქტიდან ერთ კილომეტრზე ჯავშნიანი მანქანა უკან მობრუნდა და მთელი სისწრაფით გამოემართა ოთარის ჯგუფისაკენ.

— ჩასანგრდით! მტერი კონტრიერიშზე გადმოდის! მაშველ ძალებს შევატყობინებ!—მიუგდო ეს სიტყვები კაბინიდან თავგამოყოფილმა კაპიტანმა და მძღოლს უბრძანა:

— სრული სვლით იაბლონსკის მეურნეობისაკენ!

იაბლონსკის „მეურნეობა“ აქედან შვიდი—რვა კილომეტრის მანძილზე, მარცხენა ფლანგით მიდიოდა. სანამ იაბლონსკის გააფრთხილებდნენ და ძალებს გადააჯგუფებდნენ, მტერს დახვედრა უნდოდა.

ამ თავდამცველი ჯგუფის მეთაური იყო უფროსი ლეიტენანტი კოჩკინი. იქნებ გახსოვთ ეს გვარი, მოსკოველი ფეხბურთელი იყო, „ა“ კლასში, თავდამსხმელი. ფეხბურთი ხომ ოთარის, რომ იტყვიან, სუსტი ადგილია, და ახლა მის გვერდით ჩასანგრებულ კოჩკინს რომ ხედავდა, რომლის კარგი თამაშისათვის თბილისის სტადიონზე უყურებია, მთელი ეს საქმე რაღაც აზარტად წარმოედგინა.

გერმანელები კი მოდიოდნენ კარგად დასწავლილი მარშით, მტკიცე საბრძოლო განლაგებით, გეგონებოდათ დემონსტრაციას ახდენენ და თითოეულს თავისი სამარშო ნაბიჯებისათვის თავი მოსწონს, რადგან აქეთიქიდან საცოლეები უყურებენო.

ასე, ქვის სროლის მანძილზე რომ მოუშვეს მოწინავე რაზმი, კოჩკინმა ფლანგებზე ჩაწოლილ ხელისმეტყვიამფრქვევებს გასძახა:

— ქვეითზე, ხანჯლური ცეცხლის გრძელი ჯერი!—ხოლო თვითონ ტანკსაწინააღმდეგო თოფს მიუწვა და გახსნა ცეცხლი.

მინდორში თითქოს გაუხედნავი ულაყის დაჭერა უნდათ და ქამანდი სტყორცნესო, ასე წითელ ზოლად შემოერტყა ფლანგებიდან ტყვიამფრქვევის ცეცხლი გერმანელებს.



ისევე კოხტად, როგორც იერიშზე მიდიოდნენ, ზურგი იქცია ფაშისტების მეწინავე რაზმმა.

ერთმა მაინც მოასწრო გრანატების კონა ეტყორცნა, უფრო იმიტომ უთუოდ, რომ ხელი სიმძიმისაგან გაეთავისუფლებია. უღელი გადააგდო და კურდღელი მოკლაო, ისე იყო—მარჯვენა ფლანგზე ჩვენი ტყვიამფრქვევი დადუმდა. ოთარმა ფრთხილად გაანაპირა სახელურთან „მიძინებული“ მეტყვიამფრქვევე და მიუშვა გრძელი ჯერი, პირდაპირ კი არა,—მარჯვნიდან მარცხნივ, მარცხნიდან მარჯვნივ, თითქოს დაფაზე ცარცით ხაზებს ავლებსო.

ასე წააწვენს ხოლმე ადიდებული მდინარე ლაქაშებს.

მაგრამ ეს ცოტა იყო. ფერდობიდან ნისლივით ამოიწია იაბლონსკის საზღვაო ფეხოსანმა რაზმმა და მოულოდნელად თავს დაატყდა მტერს. სროლა უკვე ვაჟკაცობაც აღარ იყო—ტყესავით აიმართა ასობით ფაშისტის ხელი და მოისმა ძირს დაგდებული იარაღის ზღართანი.

როდესაც ჩვენი ჯარების ორივე ჯგუფი ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან აკერმანს რკინის სალტედ უნდა შემოვლებოდა და ცოტაღა კმაროდა ამ ჯგუფების შესაერთებლად, ისეთი ვაშა დაგუგუნდა, სროლაც არ იყო საჭირო.

ორივე ჯგუფის შეკვრამდე ერთი ნახტომიღა რომ რჩებოდა, ამ საერთო „ურას“ შეუერთდა ერთი ქართული „ვაშაც“ და ეს ამოძახილი გაიყინა განცვიფრებულის ბაგეზე:

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო!—და ოთარი თავდავიწყებული მივარდა და გადაეხვია... გოლოტენკოს.

— ოჰ, შენ რა გითხარი! სად შევხვდით, ბიჭო!..— დუდუნებდა გახარებული გოლოტენკო და ზურგზე ხელს ურტყამდა ოთარს.

— ჩრდილოეთის საზღვაო ქვეითნო, ლაშქრად, წინ!—გაიცა ამ დროს ბრძანება და ისინიც დაშორდნენ ერთმანეთს.

— თბილისიდან რა ამბები გესმის, თბილისიდან!— მოსძახოდა გზიდან გოლოტენკო.

— მშვიდობა, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, მშვიდობა! — უპასუხებდა ოთარი და თვალწინ ედგა თბილისთან უკანასკნელი გამოთხოვების სურათი.

* * *

მთელს ქვეყანაზე ჰქუხდა უკრაინის მეორე და მესამე ფრონტების ჯარების დიდება.

დუნაისპირა სოფლებსა და ქალაქებში ბრძოლებით მიმავალ განმათავისუფლებელ საბჭოთა მეომრებს ხმამაღლამოლაპარაკე რადიორეპროდუქტორებიდან თავს დაჰქუხდათ უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებათა ფოლადის სიტყვები. ზედიზედ იწმინდებოდა ფაშისტური სიბილწისაგან აკერმანი და იასი, კიშინიოვი და იზმაილი. გზა იხსნებოდა ბალკანეთის ნახევარკუნძულისაკენ.

დუნაის სამხედრო ფლოტილიის საბრძოლო ისტორიაში იწყებოდა ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ეტაპი—1944 წლის 24 აგვისტოს, გამთენიისას, მისი პირველი ხომალდები—საბჭოთა კავშირის გმირის ველიკის ჯავშანკატერები დუნაიში შევიდნენ.

მოუთმენლად ელოდნენ მეზღვაურები ამ დღის დადგომას. სანაოსნო სიძნელეებით აღსავსე მდინარე მაინც იზიდავდა მათ. ეს ხომ ხალხთა მდინარეა, იგი რვა სახელმწიფოს საზღვარზე გადის. მასზე დევს ევროპის სამი უძველესი დედაქალაქი: ბელგრადი, ბუდაპეშტი, ვენა, მრავალი სხვა მნიშვნელოვანი ნავსადგური: რუსე-



ამ ხმებში ოთარი არჩევდა მარცხენა ხელში ავტომატით და მარჯვენაში გრანატით წინ მიმავალი ბორზიკის ძახილს. მას პავლოვი მიჰყვებოდა გვერდით.



ახლალა შეძლეს დაკვირვებოდნენ—რა ნადავლი მოჰყავდათ.

ლი—იზმაილი, რუმინული—გალაცი და ბრაილა, ბულგარული — რუშჩუკი, ჩეხოსლოვაკური — ბრატისლავა, ავსტრიული—ლინცი.

უახლოესი—ეს იყო რუმინეთის დუნაი.

მაგრამ ოთარის საბრძოლო გზაზე „დიდი“ დუნაისაკენ წინაღობად იდო ნოვაია-კილია, რომელსაც გერმანელები სიცოცხლის ფასად ებღაუჭებოდნენ.

3

...ბაღში ხარ. დახუნძლული ნაყოფისაგან ხეხილის ტოტები ძირს ეფინება. პირი გიშრება. ნაყოფის მოწყვეტის ნება კი არა გაქვს—ასეთია დაზვერვა, როცა იგი მტრის განლაგებაში ხდება სტრატეგიული ცნობების მოსაპოებლად. ისინი ვერ გამჩნევენ, შენ კი—იარაღში ჩამჯდარი—ხედავ მათ, შესაძლოა, ყველაზე „მსხვილსა და მწიფე ნაყოფს“—ოფიცერს, ან გენერალსაც... შენს ამოცანაში რომ გასროლა შედიოდეს! გრანატის კონა გატყორცნინა, ავტომატის ერთ ჯერის ცული მოგაქნევინა ნეტავ ამ უკუნეთ ღამეში. მაგრამ არა, მომჯობინებულ მუცლისტიფიანივით შეიკარ კრიჭა და მოითმინე, თავი შეიკავე ჭამისაგან! შენ მშვიდობით უნდა დაბრუნდე შინ და მოიტანო ამ თითო-ოროლა ფაშისტზე ძვირფასი რამ—ცნობები მტრის განლაგების შესახებ.

ასეთია „ჩუმი“ დაზვერვის თავისებურება.

მეორეა მტერზე გულისმოსაფხანი სახეობა დაზვერვისა—დაზვერვა ბრძოლით. რამდენიც გნებავს „კრიფე ბაღში ხილი“.

მზვერავთა ჯგუფი, რომელშიც ოთარი შედიოდა, სანაღმო კატერით ფარულად გადასხეს დუნაის მეორე მხარეს.

ბორზიკი და ვანია ბოიჩაკი ამ საბრძოლო ოპერაციის დროს თავს ისე გრძნობდნენ, როგორც ეზოში უმეთვალყურეოდ დატოვებული ბავშვები, რომლებსაც არავინ არ დაუშლის რაგინდ თამაშს—მიიღე გადაწყვეტილება შენებურად, იმოქმედე შენი გულის კარნახით, უბრძანებოდ... მარცხიც შენი მიზეზით იქნება და გამარჯვებაც შენით მოპოვებული.

ერთი ვიტია ზასელსკი იყო რომანტიულად ჩაფიქრებული. მას ახლა გონებაში ესახებოდა ქარგა მომავალი წერილისა, ხვალვე, თუ საქმე წარმატებით გათავდებოდა, მატროსულ გაზეთ „დუნაეცში“ რომ უნდა გაეგზავნა. ზასელსკი კიეველი უნივერსიტეტდამთავრებული იყო, ფილოლოგი, მონოლოგური სახისა, მეტად მიმზიდველი, მეოცნებეთვალებიანი, ფრონტის გზებზე მოხეტიალე, როგორც ყოველი სამხედრო კორესპონდენტი, ათას წრეში გამოვლილი, ათასთან დამეგობრებული.

იგი მქროლავი კატერის გემბანზე იდგა, ოთარის მხრებს დაყრდნობილი, და ბუტბუტებდა სხვებისათვის გაუგებარს, ხოლო ოთარისათვის განსაცვიფრებელს:

მირბის, მიმაფრენს, უგზოუკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი...

— რაო, რაო?—მიუბრუნდა ოთარი ზასელსკის და შეანჯღრია,—მე მომესმა ეს სიტყვები, თუ შენ ლაპარაკობ სინამდვილეში?

ზასელსკი კი ლექსს განაგრძობდა...

— ლაპარაკობს ბარათაშვილი, ამხანაგო ჩხეიძე, აქაც, დუნაიზე.

— დაჩუმდით, რა მოგივიდათ! ნაპირზე ვართ!—კარგა ხანია გამოურთავს მოტორი ბოიჩაკს.—აბა გადავსხდეთ, მომყევით!

— უნივერსიტეტში გავდიოდით თქვენს კლასიკოსებს, ლონია,—ბარათაშვილს, ჭავჭავაძეს, წერეთელს... —არც ბორზიკის ბურტყუნი და არც ახალი ვითარება არაფრად არ ჩათვალა ზასელსკიმ და განუმარტა განცვიფრებულ ოთარს.—გასწი, მერანო!—ოდნავ წაჰკრა ხელი მხრებზე კატერიდან ნაპირზე ჩამავალს.

— „აი, ვილჰელმ მეორის სასახლე“—წასჩურჩულა ბორზიკმა ოთარს.

— ბოიჩაკ! ზასელსკი!—გასცა მერე მან განკარგულება,—მოიმარჯვეთ დანები. კართან ჩასაფრდებით. ჩხეიძე, მომყე!..

დუნაის ნაპირიდან მოშორებით დიდი ვერხვის ქვეშ ხის ერთი განმარტოებული პატარა სახლი იდგა, ბორზიკმა რომ ვილჰელმ მეორის სასახლედ მონათლა. ვინ იცის ამ ქოხს თავისი სახურავიდან რამდენი ყუმბარა გამოუგზავნია ჩვენებისათვის დუნაის გაღმა. ამ სახურავიდან ახდენდნენ ფაშისტები ცეცხლის კორექტირებას.

ჩხეიძე უნდა ახოხებულიყო სახურავზე. დიდი შრომა არ დასჭირდებოდა—კიბე იყო მიდგმული.

— აჰა, ჩამოუწმინდე, ერთი, საკვამური საპატიო სტუმრებს,—და ბორზიკმა გადააწოდა გრანატი „ერგედე“,—მერე შენი „ლიმონები“ მიაყოლე, პირს გაიმჟავებენ!..

ესენი სანზადისში კი იყვნენ, მაგრამ შიგნიდან ჩაშიჩუმი არ ისმოდა. „გამთენიაა, მკვდარივით ეძინებათ ახლა!“.—მოიცა ბორზიკმა იმედი.

ოთარმა ფეხთ გაიძრო და სამ-სამი საფეხურით იწყო აცოცება. სახურავზე რომ ასკუპდა, ბუჩქიდან ძახილი მოისმა:

— პანაიტ... პანაიტ!...

„რა პანაიტი, შენი!..—გაიფიქრა ოთარმა,—მოგივლის ბორზიკი“.

ბორზიკმა ხმისაკენ გაიხედა. როგორღაც მოეჩვენა, რომ ის კაცი იჯდა და ადგილიდან არ იძროდა.

კატად იქცა დათვისტოლა ბორზიკი და მძიმედ გამოტყორცნილი რაღაც შავი საგნის ასაცილებლად მძაფრი ნახტომებით ჩირგვებთან გაჩნდა. სწორედ იქ, საიდანაც ბორზიკმა ნახტომი გააკეთა, ალი ავარდა და საშინელი გრუხუნი მოისმა.

ხელი ვეღარ მოინაცვლა ჩირგვთან ჩასაფრებულმა. ბორზიკმა თავიდან ქუდი წააძრო ფაშისტს და სწორედ მაშინ, როცა ღრიალი ამოუშვა, შიგ ხახაში ჩასჩარა. მაგრამ გერმანელს სამი კაცის ღონე მისცა ძალით დამუნჯებამ—ხან ბორზიკი მოექცეოდა ქვევით და ხან იგი.

საკვირველი ის იყო, რომ სწორედ ასეთ გასაჭირში მწარე და მოუთმენელი ქავილი აუტყდა ბორზიკს თეძოსთან.

მტერი თოკით უკან გაკრული ხელებით კურტანივით ზურგზე რომ მოიგდო და დაიძრა, მაშინ იგრძნო, თუ რისგან იყო ეს ქავილის გრძნობა—დაჭრილი იყო მსუბუქად და თბილი სისხლი სდიოდა.

სანამ ეს ამ გასაჭირში იყო, სახურავიდან ზედიზედ მოისმა ბრაგვანი, ხოლო ქოხიდან ზათქი და ხრიალი.

როდესაც დამფრთხალი გერმანელები კარს მოაწყდნენ და გარეთ გამოვარდნენ, მათ ეძგერნენ ბოიჩაკი და ზასელსკი.



გამორბოდნენ მოლდაველი გლეხები, ყაყანებდა ქალი და კაცი.

— საით, საით!.. ასე კი არ არის საქმე!...—ბურტყუნებდა ბოიჩაკი და ჰკრავდა თოკით.

— ხომ გესმის, საით რომ გეუბნებიან!.. ანჯღრევდა თავისას ზასელსკი.

გერმანელებს შესაძლოა არ ესმოდათ მოზეიმე ბოიჩაკისა და ზასელსკის ეს რუსული სიტყვები, მაგრამ მათი მკლავების სალტეს კი მწვავედ გრძნობდნენ ტანზე.

კატერი ნადავლით სამშვიდობოს რომ გავიდა, თეთრად გათენდა და ახლაღა შეძლეს დაკვირვებოდნენ—რა ნადავლი მოჰყავდათ: ერთი იყო—პოლკოვნიკი, მონოკლიანი,—მაღალი, გამხდარი, მაგრამ ისეთი გამომეტყველება ჰქონდა—ქვეყნის ჩასანთქმელად შემზადებულაო. იდგა კაიუტაში, როგორც თავისი მორჩილი ხელქვეითების მწყობრის წინაშე, ფერდში დაჭრილიყო, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა, ხელი ჰქონდა მიფარებული ჭრილობაზე.

რაღა პოლკოვნიკიდან დავიწყეთ! მაგრამ ფეხზე იდგა, თანაც უცნაურად მაღალი და ხმელი იყო და ამიტომ იქცევდა ყურადღებას. იყო კიდევ გენერალი,

მერე გამოირკვა—დივიზიის მეთაურიც, რომელიც გასაქცევად ამ ქოხში შეჩერებულიყო, ტრონიე გვარად. დაიხსომეთ ეს გვარი, მერეც გამოჩნდება. ღილები აწყვეტოდა და იჯდა მკერდგაღეღილი, სიცხისაგან შეწუხებულივით. მას ერთი შეხედვით სათნო, მაგრამ უფრო მოცბიერო სახე ჰქონდა. შეგუებოდა თავის მდგომარეობას და შედარებით უდარდელი კაცის იერით გამოიყურებოდა.

და იყო კიდევ ამ გენერლის ადიუტანტი, გონდაკარგული, გამოლენჩებული, ზურგზე ხელებგაკრული, კაიუტის კუთხეში, დაქანცულ მეკურტნესავით კედელს ზურგით მიყრდნობილი, კაპიტანი ჩინით.

ეს ახლა შენიშნეს, და ზალესკიმ, ყოველთვის ხუმრობის გუნებაზე მყოფმა, მიმართა ბორზიკს:

— ეს რა არის, ბორზიკ, რა მზვერავის წესია ეს? რათ აძრობდი ამ კაცს შარვალს...

ბორზიკი ახლა მოვიდა გონს, დააშტერდა თავის ნატყვევარს და წამოიძახა:

— თვითონ, თვითონ ჩაეძრო მაგ მამაძაღლს, ჩაკუნცხულიყო ეს ბინძური ოხერი მოლდავეთის მიწაზე...—და მუშტი მოუღირა, მაგრამ ბოიჩაკმა არ გაუშვა.

— ბიჭებო,—გამოერკვა დიდი ხნის ფიქრიდან ოთარი,—იცით რას გეტყვით? ქოხიდან ორი კაცი გარბოდა. მე მოვერიდე გასროლას, რაკი ყველაფერი მოვითავეთ.

— რამდენი იყავით?—მივარდა პოლკოვნიკს ოთარის ნათქვამით აღელვებული და საგონებელში ჩავარდნილი ბორზიკი.—გირჩევ არ იცრუო, რამდენი იყავით?!

პოლკოვნიკს სცოდნოდა ცოტათი რუსული, დადგა ამაყად და უპასუხა:

— ხუთნი! ისინი თქვენ ვერ დაიჭირეთ. ისინი გულადები არიან—დაგხოცავდნენ ზურგიდან, როცა ჩვენ მოგვათრევდით.

— რას ამბობს ეს ჰოკი!—გაიოცა ზასელსკიმ, ჯერ სარივით გაჭიმულ პოლკოვნიკს მიაპყრო თვალი და მერე თავის ამხანაგებს გადახედა.

— ჰო, ჰო,—ადასტურებდა პოლკოვნიკი თავის ნათქვამს,—დაგხოცავდნენ, მაგრამ იღბალი გაქვთ—ბნელოდა, ხოლო ის ერთი გაქცეულთაგანი—სიძეა ჩემი, მე ვერ გამიმეტა ალბათ!

— გულადი სიძე გყოლია,—ჩაურთო ბორზიკმა,—თქვენც გვეყოფით მოენედ, ასე კი არ არის საქმე!..

მოერეკებოდნენ ტყვეებს, გზად სოფელი იყო, გამორბოდნენ მოლდაველი გლეხები, ყაყანებდა ქალი და კაცი—ჩამოკონკილნი, ჩამოძონძილნი, კოლონიიდან გაჰოშვებულებს ჰგავდნენ.

— გაუჩხრიკეთ ამათ ჯიბეები, ააგლიჯეთ სამხრეები, როგორ მოწიწებით მოგყავთ!..

საქმის არმცოდნე კაცს შეეცოდებოდა ტყვეები, რომელთაც გარშემორტყმოდნენ მშვიდობიანი მცხოვრებლები და ქოქოლას აყრიდნენ, არაფრად აგდებდნენ ჩვენს მეომრებს, პირდაპირ ხელით ცდილობდნენ გაენაპირებინათ ფაშისტები და მიიწევდნენ მათკენ.

* *
*

...მიდიოდა საბჭოთა მეომარი წინ, დუნაის დინების წინააღმდეგ, ბრძოლით მიარღვევდა ძნელად სავალ სისხლიან გზას.

თავისუფლდებოდნენ ფაშისტური ჩექმით გათელილი დუნაის სახელმწიფოები საბჭოთა არმიის ძლევამოსილი შეტევებით. ზედიზედ იწმინდებოდა რუმინეთისა და ბულგარეთის, იუგოსლავიისა და უნგრეთის მიწა-წყალი ფაშისტური სიბილწისაგან.

კიდევ ერთი მძლავრი წინწაწევა იყო საჭირო, რომ ჩვენი ჯარები შესულიყვნენ ბუქარესტში; ევროპის პირველ დიდ სატახტო ქალაქში.

...მათ გავლაც უჭირდათ ქალაქის ქუჩებში. გამოდიოდა მოსახლეობა, ათასობით ადამიანი ეხვეოდა გარს ჩვენი ჯარის კოლონებს, მადლობის სიტყვებს შესძახოდნენ რუმინულად, რუსულად, ასაჩუქრებდნენ თაიგულებით. ბევრი ცდილობდა კოლონის თავში მიმავალთათვის მიეწოდებინა ლამაზი ყვავილების თაიგულები.

თაიგული ოთარსაც ხვდა, რადგან მზვერავთა ჯგუფთან ერთად წინ უძღოდა ერთ-ერთ კოლონას. ისეთი ლამაზი, თვალჟუჟუნა ქალიშვილისაგან იყო ის თაიგული მოწოდებული...

— აჰა, ვიტია, მიიღე! ბოიჩაკ, ეს შენ, ეს კიდევ ბორზიკს გადააწოდე. გავინაწილოთ სიყვარული ყველამ ერთად!—მიდიოდა ოთარი და აწვდიდა დიდი თაიგულიდან კონა-კონა ყვავილებს თავის მებრძოლ მეგობრებს. ყველა თავისებურად ეპყრობოდა ყვავილებს—ბორზიკი როგორღაც უხერხულად, მოუხეშავად იყოფდა მას ბუშლატის ჯიბეში, ბოიჩაკს ისე ეჭირა, როგორც ოთარმა გადააწოდა,—ოდნავ წინ გამოშვერილ, გაშეშებულ მარჯვენა ხელში ჩაბღუჯული, თითქოს ანთებული კვარი მიჰქონდა და უფრთხოდა ზედმეტი მოძრაობით არ ჩაჰქრობოდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბუცები

თბილისის ერთ-ერთ სპორტულ მოედანზე ფეხბურთის მატჩს ვუყურებდი: ეზოების გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს.

მოედანზე წითელ და ლურჯ მაისურებში გამოწყობილი ჭაბუკთა ორი გუნდი გამოვიდა.

სიხარულით აცმუტდა ჩემს გვერდით ასე, ათიოდე წლის, ქერათმიანი ბიჭი; მიიხედა, მოიხედა და, რომ არავინ გამოელაპარაკა, მე მომმართა:

— ისინი, წითლებში, ჩვენები არიან.—მერე ტაში შემოჰკრა და სულმოუთქმელად მიამბო: რომ თვითონ ნიკოა, რომ მისი ეზოს გუნდს ჯერ თამაში არავისთან წაუგია, რომ ერთხელ, მეორე ტაიმში თვითონაც ითამაშა, რომ ის, მაღალი, კაპიტანია და მარჯვენა ფეხით კარის ძელს აქცევს...

ამასობაში გუნდები ერთმანეთის პირისპირ დაეწყვნენ. სადაცაა თამაში უნდა დაიწყოს. მაგრამ ეს რაა? მსაჯმა ლურჯების ცხრა ნომერს ფეხსაცმელზე მიუთითა და მოედნის დატოვება უბრძანა.

ლურჯების ცენტრი ტრიბუნისაკენ წამოვიდა.

ახლალა შევამჩნიე, რომ ცენტრ-ფორვარდს ჩვეულებრივი ფეხსაცმლები ეცვა.

— ბუცები, ბიჭებო, ბუცები! ეგებ ვინმეს 37 ნომერი ბუცები გაცვიათ!—შეეხვეწა იგი იქვე მჯდომ სათადარიგო მოთამაშეებს. ბავშვები უხმოდ შეიშმუშნენ, შევნიშნე—რამდენიმე მათგანმა ფეხები დამალა.

ამასობაში სასტვენის ხმაც გაისმა.

— მე მაქვს!--წამოიძახა უცებ ჩემმა მეზობელმა.

— მათხოვე, თუ ძმა ხარ, თამაში გადამწყვეტია. უბუცებოდ კი...—ცენტრ-ფორვარდმა იმედის თვალით შეხედა ნიკოს.

ჩემმა მეზობელმა სწრაფად გაიძრო ფეხსაცმელი.

მე თამაშის მსვლელობის შესახებ არ მოგიყვებით. თამაში დაძაბული იყო და ლურჯების სასარგებლოდ დამთავრდა—მათმა ცენტრმა ნათხოვარი ბუცებით ორი ბურთი გაიტანა.

სწრაფად დაიცალა სტადიონი.

მხოლოდ ჩემი მეზობელი ნიკო იჯდა დამწუხრებული.

გუნდები რომ მოედნიდან გადიოდნენ, ეზოს ბიჭებმა ისე ჩაუარეს გვერდი, რომ ზედაც არ შეუხედავთ...

არ ვიცი რას ფიქრობდა იმ წუთში ნიკო, მაგრამ მე ძალიან მომინდა მეამბნა თქვენთვის ეს ამბავი. ნუთუ სწორად არ მოიქცა ქერათმიანი ბიჭი?

თქვენ როგორ ფიქრობთ?

ზურაბ ლემქაშელი

სიმონ შამფრიანი

## ჩემი სოფლის ძველი კოშკი

ჩემს პატარა სოფლის კართან
აღმართულა კოშკი ძველი—
სახსოვარი წინაპართა,
ახოვანი, მომხიბვლელი.
წინათ, როცა ტყვიის წვიმით
მოდიოდა თურქის ჯარი,
თურმე კოშკი, ვით არწივი,
მტერს ხვდებოდა უშიშარი.
რა შორს დარჩა ის წარსული,
კვნესა, ცრემლი იმა დღეთა!..
ხალხმა კოშკი დახავსული
რა ხანია გამოკეტა.
მაგრამ განა ძველი გმირი
მივივიწყეთ, მივატოვეთ?
სტუმრები ვართ მისი ხშირი,—
არ დაჩაგროს სიმარტოვემ.
ყმაწვილებმა ამას წინათ
ვითათბირეთ, დავასკვენით:
რომ არც ქარმა და არც წვიმამ
არ შელახოს კოშკი ჩვენი,—
ვთხოვოთ ყველას, ვინც კი არის
კალატოზი, ანდა ხურო,
გაუმრთელონ კედლებს ბზარი,
ახალ ყავრით გადახურონ...
ასრულდება მალე მართლაც,
რაც ტოლებმა გადავწყვიტეთ—
სახსოვარი წინაპართა
დაე, უფრო გამობრწყინდეს!





# ხელოვნების მუზეუმის დარბაზებში

ა. ჩხარტიშვილი.
საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ მუშაკი

თბილისში, პუშკინის სკვერის პირდაპირ დიდი, თეთრი შენობა დგას. ამ შენობაში შემსვლელი არასოდეს არ ილევა, განსაკუთრებით კვირაობით. აქ, უფროსებთან ერთად, მოდიან თქვენი ტოლებიც, კოლექტიურად, ცალ-ცალკეც. მოდით, ჩვენც შევყვეთ, მეგობრებო, გავიგოთ რაშია საქმე. აი, ნათელი, ფართო დარბაზები. რამდენი საინტერესო რამაა აქ განლაგებული: ნახატები, ქანდაკებები, ოქრომჭედლობის ნიმუშები, არქიტექტურული ფრაგმენტები, კედლის მოხატულობანი... ალბათ მიხვდით, რომ საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ვიმყოფებით. მაშ, შევუდგეთ მის დათვალიერებას. დღეს ის განყოფილება ვიკმაროთ, სადაც ფეოდალური ხანის (V-XVII საუკ.) ძეგლებია გამოფენილი.

აი, ცნობილი ბიჭვინთის ეკლესიის იატაკის მოხატულობა. იგი მთლიანად მოზაიკითაა შესრულებული. იცით რა არის მოზაიკა?—წვრილი, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ბუნებრივი ფერადი ქვისგან დამზადებული ნახატი. ამ მოზაიკაზე მაღალი ოსტატობითაა შესრულებული ირმების, შვლების, კრავების, თევზებისა და ფრინველების გამოსახულებანი.

ბიჭვინთის მოზაიკა ერთ-ერთი უძველესია. აკადემიკოსმა შ. ამირანაშვილმა იგი მეხუთე საუკუნეს მიაკუთვნა. ძალიან ძნელი იყო ბიჭვინთიდან მოზაიკის აქ—ხელოვნების მუზეუმში გადმოტანა. ძნელი იყო მისი რესტავრაციაც, ხელახალი აღდგენა, მაგრამ ჩვენმა სპეციალისტებმა დაძლიეს ეს დაბრკოლება.

საქვეყნოდ განთქმულია ქართული ხუროთმოძღვრების უბადლო ძეგლები: ჯვარის მონასტერი, სვეტიცხოველი, ბოლნისის სიონი და კიდევ მრავალი სხვა. ბევრ თქვენგანს ალბათ თავისით უნახავს ეს ტაძრები. აქ, ამ დარბაზში სწორედ მათი ფრაგმენტებია წარმოდგენილი. აი, თუნდაც ბოლნისის სიონის ფრაგმენტები და სვეტის თავთა ასლები. ბოლნისის სიონი მხატვრული თვალსაზრისით



კანკელი ტბელდიდან.



მუზეუმის ერთ-ერთი დარბაზი.

მეტისმეტად საინტერესოა. მეხუთე საუკუნის ეს ძეგლი მოპირკეთებულია ბოლნისური ცისფერი ქვით და შემკულია მრავალნაირი ჩუქურთმებითა და ცხოველთა გამოსახულებებით. მუზეუმში წარმოდგენილ ამ ფრაგმენტებზე გვხდება გამოსახულებანი: ჯიხვი ფრთოსან ლომებს შორის, კურდღელს გამოდევნებული დათვი, ხარის თავი, სხვადასხვა მცენარეული და გეომეტრიული ჩუქურთმები. მარტო ამ ფრაგმენტების ნახვაც საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ რა მაღალ საფეხურზე მდგარა ჩვენი ხუროთმოძღვრება იმ უძველეს საუკუნეებში.

ხომ გახსოვთ მცხეთასთან, მტკვრის ნაპირზე აღმართული ჯვარის მონასტერი? მეშვიდე საუკუნის ეს ძეგლი ქართული არქიტექტურის მშვენებაა. იგი მნახველებს აოცებს თავისი კეთილშობილური ფორმებითა და პროპორციებით, შიგნითა სივრცის გრანდიოზულობით და ფასადების გაფორმებით. მუზეუმში სწორედ ამ ფასადების რელიეფურ ქანდაკებათა პირებია წარმოდგენილი. იმ საუკუნეებში ეკლესიის აშენების ხარჯებს მდიდარი არისტოკრატია იღებდა ხოლმე. ამიტომ ეკლესიის ფასადებზე ხშირად სწორედ ამ არისტოკრატებს გამოსახავდნენ. მუზეუმშიც სწორედ ეს გამოსახულებანია წარმოდგენილი: ქართლის ერისთავი სტეფანოს პირველი, დემეტრე, ადარნასე და მისი შვილი სტეფანოს მეორე. ამ რელიეფის ასლთა სახეები დაზიანებულია, მაგრამ მათი გარჩევა მაინც შეიძლება. ყველა ერისთავი ჩაცმულია ერთნაირად. ტანსაცმელი მორთული აქვთ ძვირფასი ქვებით, წელზე ვერცხლის ქამარი არტყიათ... ქართველ ოსტატს შესანიშნავად დაუმუშავებია ტანსაცმელი ღრმად ამოჭრილი ხაზებით, რომლებიც ხშირად ორნამენტში გადადიან. ხუროთმოძღვრის — იმ ადამიანის გამოსახულება, რომელმაც ეს შესანიშნავი ძეგლი ააგო, შემონახულა მცხეთის ჯვარზე. ესაა შედარებით პატარა მოცულობის, მუხლმოდრეკილი ფიგურა. ასე მოკრძალებით დაგვიტოვა ამ შესანიშნავმა შემოქმედმა თავისი გამოსახულება მცხეთის ჯვარზე, სრულიად უმნიშვნელო ადგილას. ეს რელიეფები გვეხმარება გავიგოთ მაშინდელი არისტოკრატიის ჩაცმულობა. ამ კოსტუმების შესწავლას კი დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისათვის.

ახლა ისევ მოზაიკას მივუბრუნდეთ. მაგრამ ეს უკვე იატაკის მხატვრული გაფორმება კი არაა, არამედ კედლის



ფრაგმენტი, ბოლნისის სიონიდან.

დეკორატიული მოხატულობა, რომელსაც ჩვენამდე ფრაგმენტების სახით მოუღწევია. ესაა წრომის მოზაიკა. მეცნიერებს დიდი დავა უხდებათ იმის დასადგენად, თუ რა სცენები ან როგორი ჩუქურთმები იყო აქ მოცემული. რადგან ეკლესიაში წვიმა ჩადიოდა და მოზაიკა ზიანდებოდა, მოზაიკა მოხსნეს და მთლიანად გადმოიტანეს მუზეუმში. წრომის მოზაიკა შედგება სხვადასხვა ზომისა და ფერის კუბიკებისაგან. რა ფერის კუბიკები არ გვხვდება წრომის მოზაიკაში: ვერცხლისფერი, ოქროსფერი, მუქი ლურჯი, მწვანე, ღია მწვანე, შავი, წითელი... დადგინდა, რომ აქ, ცენტრში, გამოსახული ყოფილა ქრისტეს დიდი ფიგურა, გვერდებზე კი ორი, მისკენ მიმავალი ფიგურები. ოსტატურადაა შესრულებული ამ ფიგურების ტანსაცმლის ნაოჭები, განსაკუთრებით ქრისტეს მოსასხამი. ფიგურებს გარდა დახვეწილი გემოვნებითა და ტექნიკითაა შესრულებული მრავალი სახის ჩუქურთმა. ამ ჩუქურთმების მსგავსება შეიძლება ვიპოვოთ სირიისა და მესოპოტამიის მოზაიკებში.

მაგრამ ქართული ხელოვნების განვითარების ეს ხაზი, რომელიც დიდი აღმავლობის გზით მიდიოდა, არაბების შემოსევის შემდეგ შეწყდა. არაბების ბატონობა მძიმე უღლად დააწვა ქართველ ხალხს, დიდი ხნის მანძილზე არ შექმნილა ხელოვნების არცერთი მნიშვნელოვანი ძეგლი. ეკონომიურად დასუსტებულ ქვეყანას არ შეეძლო ხელოვნების ძეგლების შექმნაზე ეფიქრა.



მეხუთე საუკუნის ხელოვნების ძეგლი.



# ზარმაცი მამუკა



რევაზ ჯაფარიძე

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

(მ ო თ ხ რ ო ბ ა)

იყო ერთი სიზარმაცით განთქმული მამუკა. მისი სიზარმაცის ამბავი ცხრა მთას იქითაც კი იცოდნენ. მამუკას ყველაფერი ეზარებოდა, რაც არ უნდა გეთხოვა, გიპასუხებდა, წელი მტკივა, არ შემიძლიაო.

მამუკას არ მოსწონდა ზარმაცს რომ ეძახდნენ, მაგრამ იმის თქმაც კი ეზარებოდა, ზარმაცს ნუ მეძახით, მე ხომ მამუკა მქვია ნათლობის სახელიო.

ერთ დღეს მამუკა კარგ ფეხზე ადგა. ადგა და გადაწყვიტა, მოდი, თავს გამოვიჩენ, იქნებ როგორმე ხალხს დაავიწყდეს ჩემი საძაგელი სახელიო. წამოწვა კომშის ძირას და შეუდგა ფიქრს, რა უნდა გაეკეთებინა ისეთი, რომ მის საქციელს თავის გამოჩენა დარქმეოდა. ფიქრი ძალიან ეზარებოდა, მაგრამ რა ექნა, ჩაფიქრდა: იფიქრა, იფიქრა, მაგრამ თავგამოსაჩენი საქმე ვერაფერი მოიფიქრა. ბოლოს გადაწყვიტა: მოდი ერთი, ბებიასთან მივალ, იქნებ იმან გამომირჩიოს თავგამოსაჩენი საქმეო. მივიდა. ბებიას ძალიან გაუკვირდა ზარმაცი მამუკას გადაწყვეტილება, ეჭვიც კი შეეპარა, მაგრამ მამუკამ დაბეჯითებით გაუმეორა: დღეს თუ რითიმე თავი არ გამოვიჩინე, აუცილებლად მოვკვდებიო.

ბებიას შეეცოდა მამუკა, ასე ძალიან რომ სწუხდა თავისი სიზარმაცის ამბავს, და უთხრა:

— სათიბი რომ არის მრგვალ ყანაში, იცი?

— მრგვალ ყანაში? რომელ მრგვალ ყანაში?—გაიმეორა კითხვა მამუკამ, რომელმაც არაფერი არ იცოდა.

— ოსიას კაკალი ხომ იცი?—შეეკითხა ისევ ბებია.

მამუკამ არც ოსიას კაკალი იცოდა.

მაშინ ბებიამ ხელი მოჰკიდა მას, ეზოს ბოლოში ჩაიყვანა, ჯერ კაკალი დაანახა, რომელიც დაულვაშებული ყანის პირას იდგა, მერე უფრო ქვემოთ გაახედა და უთხრა:

— ხედავ, შავად რომ მოჩანს?

— ვხედავ,—უპასუხა ზარმაცმა მამუკამ, თუმცა ვერაფერს ვერ ხედავდა, რადგან ცქერაც კი ეზარებოდა.

— შავად რომ მოჩანს, შარშანდელი თივის ზვინია,—აუხსნა ბებიამ,—ზვინს უკან ჩვენი ნოთია დავაბი ამ





მაშინ ბებიამ ხელი მოჰკიდა მას, ეზოს ბოლოში ჩაიყვანა, კაკალი დაანახა.

დილას. ჩადი და, თუ არ გეზარება, გადააბი. ალბათ, რაც ბალახი იყო ირგვლივ. სულ მოჭამა და ახლა მოშივებული იქნება საწყალი.

აითრია წელი მამუკამ. წავიდა. ოსიას კაკალს რომ მიაღწია, შეჩერდა, კაკლის ქვეშ მშვენიერი ჩერო იყო. მოდი ერთი წამოვწვები და შევისვენებო,—გაიფიქრა ზარმაცმა მამუკამ,—ძროხა ხომ მაინც დაბმულია, სად წავაო, მაგრამ წამოწოლით მაინც არ წამოწვა, ის ხომ თავის გამოსაჩენად მიდიოდა.

გაიარა დაულვაშებული სიმინდის ყანა და მინდორში გავიდა. მინდორში მწიფე მაყვლით ჩანაბდული ბუჩქები იყო. პალოზე გამობმული ნოთია იქვე ახლოს იდგა და მამუკასათვის მიეპყრო მოწყენილი თვალები. ნოთიამ კარგად იცოდა მამუკას სიზარმაცის ამბავი და უკვირდა, ნეტავი ამ სიცხეში აქ რამ ჩამოიყვანაო. მამუკა კი სულ სხვა რამეზე ფიქრობდა ამ დროს. მას ძალიან უყვარდა სიმწიფით ჩანაბდული მაყვალი, მაგრამ ეკლიან ბუჩქებთან ახლოს მისვლა და ყელის ჩაკოკლოზინება ეზარებოდა. ბოლოს მაინც გადაწყვიტა, რაც იქნება, იქნება, ერთ ბუჩქს გავკრეფ, ყელს ჩავიკოკლოზინებ, ნოთიას კი მერე გადავაბამ, სად წავა, მაინც ხომ დაბმულიაო.

ასეც მოიქცა. დაკრიფა ერთი ბუჩქი. მაყვალი ძალიან ტკბილი იყო. მამუკას მოეწონა. ახლა მეორე ბუჩქზე გადავალო, გაიფიქრა მან. მივიდა მეორე ბუჩქთან და დაიწყო კრეფა. მწიფე მაყვალს სულ ბლუჯა-ბლუჯა იყრიდა პირში.

ნოთია მოწყენილი იდგა და ბუზებს იგერიებდა. საწყალს ბალახი სულ გამოლეოდა. ხანდახან გაიწევდა ხოლმე განზე, მაგრამ პალოზე გამობმული ჯაჭვი არ უშვებდა. მოდი, ბიჭო, მამუკა, ნუთუ არ გეცოდები, სხვა ადგილას გადამაბიო, უნდოდა დაეძახა ნოთიას, მაგრამ ლაპარაკი არ იცოდა და ამიტომ იყო გაჩუმებული.

მამუკამ მოათავა მესამე ბუჩქი, მაგრამ, რადგან ახლა გაჩერებაც კი დაეზარა, მეოთხე ბუჩქს მიაშურა. იმდენი მაყვალი ჭამა, იმდენი, რომ ის მაყვალი ორ ვეებერთელა გოდორს აავსებდა. გაებერა მუცელი მამუკას. ბოლოს გაჩერდა, რადგან მეტი ჭამა უკვე აღარ შეეძლო. შეატყო, საქმე ცუდად იყო. ვაიმე, ბებია, მიშველეო, უნდოდა დაეძახა, მაგრამ სიზარმაცემ სძლია და გულაღმა წამოწვა ბუჩქის ძირას. სულ დაავიწყდა თავის გამოსაჩენად რომ იყო წამოსული. მოვიდა თაგვი და ეუბნება: რა სულელი ხარ, მამუკავ, ნოთიას გადასაბმელად აქ რამ წამოგიყვანა, განა ბებიაშენს ფეხები არ აბია, ვერ ჩამოვა, ვერ გადააბამსო?

მამუკამ თვალები დაახუჭიტა. ეს, ალბათ, სიზმარი იყო. ისევ დახუჭა. დახუჭა და ხედავს: ეზრდება და ეზრდება მუცელი. უყურებს ნოთია ამ ამბავს და აღარ იცის, რა ჰქნას. აი, შარშანდელ თივის ზვინს მიაღწია მუცელმა, მერე მოუხვია, პალოს მიაწვა, რომელზედაც ნოთია იყო გამობმული.



— იცი რა არის მაგ მუცელში? შენ გგონია მაყვალი? სულ სიზარმაცით გაქვს ამოტენილი.

„რა უნდა იყოს?“ —ფიქრობს შეშინებული ნოთია და გასაქცევად ემზადება.

მოვიდა მეორე თაგვი და ეუბნება მამუკას:

— იცი, რა არის მაგ მუცელში? შენ გგონია მაყვალი? სულ სიზარმაცით გაქვს ამოტენილი.

მამუკამ ამოიოხრა და მეორე გვერდზე გადაბრუნდა, რადგან სიზმარშიაც კი დაეზარა ჯლიკვი გაეკრა აბეზარი თაგვისთვის.

ამასობაში მოსაღამოვდა. ბებია შინაურ საქმეში იყო გართული. უცებ თავის გამოსაჩენად წასული ზარმაცი მამუკა გაახსენდა. ნეტავი ამდენ ხანს სად არის ბიჭი, იმ გადარეულმა ძროხამ არსად დაამტვრიოსო, გაიფიქრა, მაშინვე აივანზე გამოვიდა და გადასძახა:

— მამუკაა!

პასუხი არავინ გასცა.

— მამუკა, ბიჭო, მამუკაა!—ახლა უფრო ხმამაღლა დაიძახა ბებიამ.

— მუუ,—მოესმა პასუხად.

„ძროხა მოსულა. ვაითუ სადმე დაამტვრია ბიჭი!“—გაუელვა ბებიას. ჩამოირბინა ეზოში. მიიხედ-მოიხედა. ნოთია არსად ჩანდა. ბებიას უფრო შეეშინდა. რა იყო, ხომ არ მომელანდა ნოთიას ბღავილიო. ამოიკარწახა კაბის კალთა და ცუხცუხ-ცუხცუხით მიაშურა სათიბს, სადაც ძროხა ეგულებოდა.

— მუუ,—მოეგება ნოთია.

შეჩერდა ბებია და ხედავს: ნოთია ისევ ძველ ადგილზეა დაბმული, მამუკა კი ბუჩქის ძირას გაშხლართულა და არხეინად ხვრინავს.



მოიყვანეს თორმეტი უღელი ხარ-კამეჩი, შეაბეს უღელში, ურემზე ძლივსძლივობით დასდეს სიზარმაცით გაბერილი მამუკა და გაუდგნენ გზას.

— ვაიმე, შვილო, მამუკა, მამუკა, ბიჭო! —შესძახა ბებიამ და შვილიშვილს ხელი მოჰხვია, თან ყვიროდა:— არიქა, ხალხო, მომეშველენით, მგონია ჩვენი ზარმაცი ბიჭი დამიკბინა რაღაცამ, ისიც რა დროს, თავის გამოსაჩენად იყო წამოსული!

მამუკას დაეზარა თვალის გახელა, მაგრამ მაინც დაინახა, როგორ შეიძრა მთელი სოფელი. მორბიან თავქუდმოგლეჯილები, მორბის დიდი და პატარა. ზოგი გზა-გზა, ზოგი ღობეებზე ხტება, ზოგი სიმინდის ყანაში მოშლიგინებს. მოცვივდნენ. წამოყენება დაუპირეს მამუკას. ვერ დაერივნენ. მამუკა ძალიან მძიმე იყო. არიქა, კეტები და ყევარი ხარ-კამეჩიო, დაიძახა ვიღაცამ. მოიყვანეს თორმეტი უღელი ხარ-კამეჩი, შეაბეს უღელში, ურემზე ძლივსძლივობით დასდეს სიზარმაცით გაბერილი მამუკა და გაუდგნენ გზას. ეზოში თორმეტმა კაცმა გადმოიღო ურმიდან. ციმციმ მიაყენეს სახლის კარს. აყაყანდა ხალხი. არ შეეტია კარში მამუკა. გააღეს მეორე კარიც. მაინც არ შეეტია. კაცებმა თათბირი გამართეს, როგორ მოვიქცეთო. წამოდგა მაშინ წინ სოფლის თავი კაცი, ოსია, და თქვა: სახლის წინა კედელი გამოვანგრიოთ, ავადმყოფი შევიყვანოთ, მერეკი, რომ დავაწვენთ, ისევ ამოვაშენოთ კედელიო.

მოეწონა ყველას ეს აზრი. კედელი თვალის დახამხამებაში გამოანგრიეს. შეიყვანეს ავადმყოფი. დააწვინეს.

მოვიდა ისევ თაგვი, მოიტანა სადგისი და ეუბნება მამუკას: იჩხვლიტე, ბიჭო, მუცელში, იქნებ ცოტა სიზარმაცე მაინც გამოგივიდეს, ხომ ხედავ, როგორა ხარ გაბერილიო.



უარზე დადგა მამუკა, მაგრამ თაგვი არ მოეშვა, თვითონ მოიწევდა სადგისით ხელში. მთელმა სახლმა აკვანივით დაიწყო რწევა.

— ბებია! ბებია!—შეჰყვირა მამუკამ და თავისსავე ყვირილზე გამოეღვიძა.

— რა იყო, შვილო?—უმალ გამოეპასუხა გულგახეთქილი ბებია, რომელმაც ის იყო მოიყვანა სათიბიდან მძინარე შვილიშვილი და სუფთა ლოგინში ჩააწვინა.

— სახლი რად ინძრეოდა?—წამოჯდა ლოგინზე მამუკა.

— როდის ინძრეოდა, შვილო, რას ამბობ!—გაუკვირდა ბებიას.

— აქ თაგვი არ ყოფილა?

— რა თაგვი, შვილო?

— არც სადგისი მოუტანია?

ბებიას ხელახლა გადმოუტრიალდა გული, ვაითუ ჩემს ზარმაც შვილიშვილს მზემ დაჰკრა სათიბშიო; და მოეფერა, მაგრამ მამუკა მაინც თავისას გაიძახოდა, ასე და ასე იყო ჩემი საქმეო, მერე თაგვი მოვიდა, სადგისი მოიტანა, მუცელში უნდა გიჩხვლიტო, იქნებ სიზარმაცე გამოვიდესო.

ბებიამ შეატყო, რომ, რასაც მამუკა უყვებოდა, ყველაფერი სიზმარი იყო და ბევრი იცინა. ბოლოს უთხრა, სანამ შენ გამოგეღვიძებოდა, თაგვმა, ალბათ, გიჩხვლიტა სადგისი და სიზარმაცეც გამოშვებული იქნებაო.

— როგორ გავიგოთ?—წამოიძახა მამუკამ და კინალამ ცრემლი მოერია.

— ხვალ გავიგებთ. დილით შენ თვითონ გარეკე ძროხა მოსაწყემსავად და, თუ გამაძღარს მოიყვან, მივხვდებით, რომ თაგვმა მართლაც გამოუშვა შენი სიზარმაცე.

გათენდა თუ არა, მამუკამ საძოვარზე გარეკა ნოთია. მერე ყოველდღე დაჰყავდა.

ნოთიას უკვირდა, ნეტავი რამ გააყოჩაღა ჩვენი ზარმაცი მამუკაო. მამუკა კი განზრახ არ ეუბნებოდა არაფერს, აბა ბიჭია და თვითონ მიხვდესო.

ნორჩი მსახიობები: გ. ურუშაძე და რ. ყურაშვილი ახლა გრიმებს საკუთარი ხელით იკეთებენ.



გიორგი კაჭახიძე

## შინ ვბრუნდები არტეკიდან

მოგუგუნე თეთრი გემი
მოუსვენარ შავ ზღვას უტევს.
შინ ვბრუნდები, მომენატრა
ჩემი ჭერი, მერცხლის ბუდე;

მომენატრა მეზობლები,
ჩემი სოფლის ხილი მინდა.
შინ ვბრუნდები მერცხალივით
არტეკიდან, ყირიმიდან.

ბევრი მოძმის სიყვარული,
სიყვარული მკვირცხლი დების
თან მომყვება, როგორც შუქი
ბანაკური ჩირაღდნების.

ჩუმად, ჩუმად! ფრთა ჩურჩულით
მშობლიურმა სიომ დამკრა.
შინ მოვსულვარ—გულში ვამბობ,
მოსდგომია ნაპირს გაგრა.

თითქოს იქით გაბუტვია
თავქოჩორა მთების ზღუდეს
და გედივით შემართული
ლამის ზღვაში შემოცურდეს!

მიდის გემი, მიგუგუნებს
და ტალღაზე ტალღა მოჰქუხს...
ახალ ათონს გაუმარჯოს!
გაუმარჯოს მწვანე სოხუმს!

დედასავით მოფუსფუსე
მთა და ბარი გვილებს კარებს.
აი, გულო, საქართველო,
საყვარელი ჩვენი მხარე!

მთებს შეხედე, სიო როგორ
ხდის ფუნჩულა ღრუბლის ქუდებს
და წინ როგორ იხატება
ჩვენი ჭერი, მერცხლის ბუდე!

## პიონერთა თეატრი

მოედნის ერთ-ერთ კუთხეში შუქრი ზაქარიაძე თოვლისაგან ნახევრად ჩამორეცხილ აფიშასთან შეჩერდა და უკვე დაზეპირებული სტრიქონები ხმამაღლა ჩაიკითხა:

— დღეს, 1959 წლის 25 თებერვალს, მახარაძის სახელმწიფო თეატრში შედგება თეატრის კოლექტივისა და პიონერთა სახლთან არსებული დრამატული წრის შემოქმედებითი მეგობრობის დილა. წარმოდგენილი იქნება ალ. კაჭკაჭიშვილის კომედია «ამბავი ორი ბიჭისა»...

— ჩქარა წამოდი, შუქრი, დაგვაგვიანდება! — უკანმოუხედავად გასძახა შეჩერებულ ამხანაგს გულიკომ და ნაბიჯს მოუმატა.

— ნეტა რა გეჩქარება, არ ვიცი! ნუ გეშინია, უჩვენოდ მაინც არ დაიწყებენ. სხვაზე რომ არაფერი ვთქვა, «ორი ბიჭიდან» ერთი აქ არა ხარ?..

მეგობრები ის იყო თეატრის შენობას მიუახლოვდნენ, რომ შუქრიმ ახლა მათკენ მომავალი ლადო მექვაბიშვილი შენიშნა.

— ტყუილად ჩქარობდი, გულიკო. აი, ხომ ხედავ, პიესის მეორე ბიჭი— კუსპარაც ახლა მოდის.

— აა... შენც ადრე მოხვედი, ჩემო გიგლა?—შორიდანვე შენიშნა ლადო მექვაბიშვილმა გულიკო ურუშაძე.— ეს კარგია. სანამ ხალხი შეგროვდება, რამდენიმე მიზანსცენის გამეორებას მოვასწრებთ. აბა, წავიდეთ, ჯერ გრიმები გავიკეთოთ...

* * *

ამ რამდენიმე წლის წინათ მახარაძის პიონერთა სახლთან პირველად შეიკრიბნენ დრამატული წრის წევრები – მე-5 და მე-6 კლასელი პიონერები. ახალბედა მსახიობებს მაშინ სცენის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდათ. მაგრამ ნორჩი მსახიობები გულს როდი იტეხდნენ: მონდომებით სწავლობდნენ თითოეული ბგერის, სიტყვისა თუ წინადადების გარკვევით გამოთქმას, კითხულობდნენ ლექსებს; ხშირად დადიოდნენ თეატრში, ესაუბრებოდნენ მსახიობებს, ესწრებოდნენ სპექტაკლებს, ერთად აწყობდნენ მხატვრული ლიტერატურის ხმამაღლა, გამოთქმით კითხვას.

მალე პიონერთა სახლის დრამატული წრე პირველად წარსდგა ნორჩ მაყურებელთა წინაშე «საოქტომბრო მონტაჟით». მონტაჟს მოჰყვა რამდენიმე ახალი სკეტჩი და მხატვრული კითხვის საღამო.

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ნორჩმა მსახიობებმა რამდენიმე პიესა დადგეს. მათ შორის კ. გოგიაშვილის «ფარავნელი ჭაბუკი», ქ. ქუჩუკაშვილის «ზამთრის ზღაპარი», გ. შატბერაშვილის «ივანანამ რა ჰქმნა» (ი. გოგებაშვილის მიხედ-







ვით). ნ. ნაკაშიძის «ბაკი-ბუკი» და ს. მიხალკოვის «ბაქია ბაჭია».

ერთ დღეს, როცა დრამატული წრე თ. ჩხაიძის «ლოთ მამალზე» მუშაობდა, სარეპეტიციო ოთახში პიონერთა სახლის ნორჩი მხატვარი მამია მალაზონია შემოვიდა.

— აი, მე ესკიზები მოგიტანეთ.

— რა ესკიზები? — მიცვივდნენ პიონერები დარცხვენილ მამიას.

— რა და... აი, თქვენი სპექტაკლის — «ლოთი მამლის»... — ძლივს ამოილუღლუღა მამიამ და ჩანთას დაუწყო წვალება.

წრის ხელმძღვანელმა სწრაფად ჩამოართვა აწითლებულ ნორჩ მხატვარს ქაღალდების შეკვრა და მაგიდაზე სათითაოდ დაალაგა.

— ესკიზები კარგია, მამია, ძალიან კარგი. მაგრამ ამის მიხედვით ნიღბებს ვინ შეგვიკერავს?

— ვინ და ჩვენ... ჩვენ შევკერავთ!

კარებში პიონერთა სახლის ხელმარჯვეთა წრის წევრები იდგნენ.

— თუ ასეა, მეც თანახმა ვარ, — ხმამაღლა წამოიძახა ასეთი მხარდაჭერით გახარებულმა წრის ხელმძღვანელმა მიხეილ გოლიაძემ და გარშემორტყმულ ბავშვებს სიყვარულით გადახედა. — აი, რეპეტიციას დავამთავრებთ და ყველამ ერთად მოვილაპარაკოთ...

ასე შეიქმნა მახარაძის პიონერთა სახლის დრამატულ წრესთან ნორჩ მხატვარ-დეკორატორთა და მკერავთა ჯგუფი.

თვით ნორჩი მსახიობები კი ამ ხნის განმავლობაში კიდევ უფრო დახელოვნდნენ, დაოსტატდნენ: თავისივე ხელით იკეთებენ გრიმს, აღარ უჭირთ რომელიმე როლის გაგება, ხასიათის გახსნა, ტექსტის დაზეპირება; შეეჩვივნენ სცენაზე თამაშს, მაყურებელს. მაგრამ ზოგიერთ პიესაში მოხუცი კაცის სახე მაინც დაუძლეველი იყო მსახიობი-ბიჭებისათვის.

— მოდით და, ჩვენც სათამაშოდ რომელიმე მსახიობი მოვიწვიოთ, — აუხირდა ამხანაგებს მზია არობელიძე.

— როგორ თუ მსახიობი... ჩვენთან ხომ მხოლოდ პიონერები თამაშობენ?!

— მერე რა, — არ ცხრებოდა მზია, — ისიც პიონერად ავირჩიოთ, საპატიო პიონერად!

— ოჰ, ეს რა კარგად მოიფიქრე, მზია. ახლავე წავიდეთ თეატრში.



სცენები ე. ნინოშვილის მოთხრობებიდან



პატარა ეგნატე—გურამ ცერცვაძე

მახარაძის სახელმწიფო თეატრის ახალგაზრდა მსახიობმა ვლადიმერ მექვაბიშვილმა სიამოვნებით მიიღო ნორჩ მსახიობთა მიწვევა.

— ვითამაშებ რომელია... უმჯობესია ეს მითხარით, რეპეტიცია როდისა გაქვთ!

— რეპეტიციებს, ძია ლადო, ამ ორ დღეში დავიწყებთ. «შავი ბიჭი» უნდა დავდგათ და თქვენც ამ პიესაში პაპა ვანოს როლს ითამაშებთ...

თ. დუგლაძის პიესის «შავი ბიჭის» მთავარი მოქმედი გმირი ზანგი ბიჭი ტომია. ტომის როლს კარგად ასრულებს მახარაძის მე-2 საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელი მოსწავლე ჯუმბერ ქორიძე.



სცენები ე. ნინოშვილის მოთხრობებიდან. მარინე—გულნარა ურუშაძე, კესარია—მზია არობელიძე, კაცია—ჯუმბერ ქორიძე.

ამ პიესის დადგმით პიონერთა სახლის დრამატულმა წრემ კიდევ ერთი შემოქმედებითი გამარჯვება მოიპოვა. «შავი ბიჭი» თითქმის ქალაქის ყველა სკოლასა და კლუბში დაიდგა. იგი ყველგან ერთნაირი წარმატებით სარგებლობდა.

დღეს კი ორი კოლექტივის შემოქმედებითი მეგობრობის დილაზე მახარაძელმა მაყურებელმა კვლავ იხილა ნორჩ მსახიობთა დახვეწილი, გააზრებული თამაში. შემოქმედებითი დილის დასასრულს პიონერთა სახლთან არსებულ დრამატულ კოლექტივს პიონერული თეატრის საპატიო სახელი მიენიჭა.

7727

* * *

ახლოვდებოდა დიდი ქართველი მწერლის ე. ნინოშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეები. ნორჩ მსახიობებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ. «სცენები ე. ნინოშვილის მოთხრობებიდან» — ასე ეწოდებოდა პიონერული თეატრის ახალ სპექტაკლს, რომელიც კვლავ წარმატებით დაიდგა.

დამთავრდა სასწავლო წელი. დაიწყო ზაფხულის არდადეგები. ნორჩმა მსახიობებმა რამდენიმე დღეში მოამზადეს ახალი ინსცენირება «ორი ბავშობა, ორი სამყარო» და 15 ივნისს ზღვის სანაპიროზე, მაგნეტიდის პიონერული ბანაკის ტრადიციულ გახსნაზე გაემგზავრნენ.

პიონერული ბანაკის გახსნის შემდეგ ნორჩი მსახიობები მთელ დღეს ლურჯად მოლივლივე ზღვის ტალღებში ჭყუმპალაობდნენ, მღეროდნენ, ერთობოდნენ; კოტრიალობდნენ მზისაგან გამთბარ ქვიშაზე.

— ბიჭებო, იცით რა მოვიფიქრე, — დაიწყო ჯუმბერ ქორიძემ, როცა თანატოლები ზღვიდან ამოვიდნენ და სილაზე გაწვნენ. · მოდით და ამ ზაფხულს ნულარ გავიფანტებით, ერთად ვიყოთ...

— მერედა, ამ სიცხეში ქალაქში რა უნდა გავაკეთოთ? — გაიკვირვა ციალა ჭანუყვაძემ.

— რატომ ქალაქში! სოფლებში გავალთ, კონცერტებს გავმართავთ...

— სწორს ამბობს ჯუმბერი, სწორს! — დაემოწმა მეგობარს შუქრი ზაქარიაძე. — აბა, ახლოს მოიწით, მეცა მაქვს სათქმელი.

მცირე კამათის შემდეგ ნორჩმა მსახიობებმა ერთხმად გადაწყვიტეს სოფლებში გაიტანონ თავიანთი სპექტაკლები და შემოსული თანხით რაიონის პიონერთა ახალი სახლის მშენებლობას დაეხმარონ.

მეორე დღეს პიონერული თეატრი გომის მთის პიონერულ ბანაკს ესტუმრა, ივნისის ბოლოს კი სოფელ შემოქმედის კულტურის სახლში წარმოადგინა გ. ნახუცრიშვილის ზღაპარი კომედია — «კომბლე».

კოლმეურნეებთან პირველი შეხვედრით წახალისებულმა ნორჩმა მსახიობებმა გადაწყვიტეს უახლოეს ხანში სოფელ ლიხაურის მშრომელებიც გაახარონ თავიანთი ოსტატობით.

ა. ხომერიკი

ფოტო კ. ვაჩიბერაძისა











# ატომური მანქანა

ეს ნათელი, აგურის კედლით გარშემორტყმული დიდი შენობა სულ ახლახან გაიზარდა თბილისის მახლობლად. გარეგნულად იგი არაფრით არ გამოირჩევა და, თუ არ იცი მის შიგნით რა არის მოთავსებული, შეიძლება შეუმჩნეველი დაგრჩეს. მაგრამ ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, ამ შენობაში მოხვედრა რომ არ უნდოდეს, მასში ხომ შესანიშნავი ატომური მანქანა-რეაქტორია მოთავსებული.

მას გააჩნია არაჩვეულებრივი, ზღაპრული თვისებები — ისეთი, როგორიც მხოლოდ ფანტასტურ მოთხრობებში წაგვიკითხავს. მაგრამ თვით ჟიულ ვერნის ყველაზე გაბედულ ფანტაზიასაც არ შეეძლო ეწინასწარმეტყველა, რომ ადამიანი ასეთ ჯადოსნურ მანქანას შექმნიდა.

და მართლაც, როგორ შეეძლო მწერალს წარმოედგინა, რომ ოდესმე იქნებოდა აგებული დანადგარი, რომელიც 2,5 მილიონჯერ ნაკლებ საწვავს მოითხოვს, ვიდრე ასეთივე სიმძლავრის, საუკეთესო ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგური.

ჩვენს რეაქტორს კი ასეთი თვისება გააჩნია. იგი ხარჯავს საწვავის ასეთ უმნიშვნელო რაოდენობას იმიტომ, რომ მუშაობს ჯადოსნურ ატომურ საწვავზე, რომელიც წარმოიქმნება ურანის ატომგულების დაშლის შედეგად. ეს დაშლა შეიძლება ხდებოდეს თავისუფლად და იძლეოდეს საშინელი ნგრევითი ძალის აფეთქებას, როგორც ეს ატომურ ყუმბარაში ხდება, ან მიმდინარეობდეს როგორც ადამიანის ხელით წარმართული პროცესი. ატომგულის დაშლის ანუ ატომური რეაქციის პროცესის სამართავად აგებენ ადამიანები რეაქტორებს.

ატომების დაშლას თან სდევს არა მარტო უდიდესი ენერგიის გამოყოფა სითბოს სახით, არამედ სხვადასხვა რადიაქტიური სხივების წარმოქმნაც. ეს უხილავი სხივები ადვილად აღწევენ მეტალებში, მინაში, ხეში და ძალიან სახიფათონი არიან ორგანიზმისათვის. ამ გარემოებამ აიძულა რეაქტორის მშენებლები ეფიქრათ სასიკვდილო სხივებისაგან საიმედოდ დაცვაზე იმათთვის, ვინც რეაქტორზე იმუშავებს. ამიტომ არის, რომ ურანი დანადგარში მოთავსებულია ალუმინის უზარმაზარ, წყლით სავსე „ქვაბში", რომელსაც ყოველი მხრიდან ერტყმის ორი მეტრის სისქის თუჯის, ფოლადისა და ბეტონის კედელი. და როდესაც ვუცქერით ატომურ მანქანას, იგი მოგვაგონებს საბრძოლო გემის ჯავშნით დაფარულ კოშკს.

რეაქტორები არსებობს სხვადასხვა ტიპის. ეს დამოკიდებულია მათ მოწყობილობასა და დანიშნულებაზე. ის რეაქტორი, რომელიც თბილისშია აშენებული — კვლევითია. ატომთა დაშლა, რომელიც მასში ხდება, ემსახურება სხვადასხვა სამეცნიერო გამოკვლევებსა და ცდებს ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენებისათვის. ამ ცდებზე იმუშავებენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები.

ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების შესაძლებლობანი ამოუწურავია. და, რაც უფრო ვითარდება მეცნიერება, ტექნიკა, მრეწველობა, ეს შესაძლებლობანი სულ უფრო და უფრო ფართოვდება.

რადიაქტიური სხივები ავლენენ მეტალურგიის განვითარების სრულიად ახალ გზებს. დამტკიცებულია, რომ, თუ ვიმოქმედებთ ამ სხივებით ლითონებზე, შეგვიძლია ვცვალოთ ლითონების აგებულება, თვისებები. მომავალში, როდესაც ადამიანი დაეუფლება ამ ზემოქმედებას, იგი შესძლებს ნებისმიერი, მისთვის საჭირო თვისებების მქონე ლითონების ადვილად მიღებას.

ქიმიაში ატომის ენერგია იძლევა ქიმიური რეაქციების მრავალჯერ აჩქარების და სხვადასხვა ახალი შენაერთების მიღების შესაძლებლობას.

უბადლოა რადიაქტიური სხივები უზუსტეს, მაღალმგრძნობიარე ხელსაწყოების შექმნაში, იმაში, რომ ადამიანის თვალისათვის მისაწვდომი გახდეს ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე უხილავი პროცესები. ატომი მეცნიერების ხელში — ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის, სნეულებასთან ბრძოლის მძლავრი საშუალებაა. აი, ამ და მრავალ სხვა დარგებში გამოკვლევისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული ფიზიკის ინსტიტუტის რეაქტორი.

მაგრამ როგორ იწარმოება რეაქტორზე კვლევითი სამუშაოები? რადიაქტიური სხივებით ზემოქმედება მოხდება განსაკუთრებულ, ბეტონის ფილებით დახშულ ადგილებში, რომლებიც კაბელებითა და ელექტრომავთულებით იქნება შეერთებული ლაბორატორიებთან. ამ მავთულებითა და კაბელებით მოწოდებული ელექტროსიგნალები აღიქმება სხვადასხვა ხელსაწყოებით. ხელსაწყოებზე დაკვირვებით მეცნიერებს შეუძლიათ იმსჯელონ შემოსხივების შედეგებზე.

თბილისის რეაქტორზე არის ხელოვნური რადიაქტიური ნივთიერებების — იზოტოპების მიღების საშუალება. იზოტოპები გამოიყენებიან



მრეწველობაში, მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში. მათ მისაღებად რეაქტორში უნდა იქნეს მოთავსებული ნებისმიერი ლითონი. რადიაქტიურ არეში მოხვედრისას იგი თვითონაც რადიაქტიური ხდება.

იზოტოპებთან მოპყრობა ძალიან სახიფათოა, ამიტომ მათთან სამუშაოდ მოწყობილია ბეტონით, ფოლადითა და ტყვიით გარემოცული სპეციალური კამერა. რა თქმა უნდა, ამ კამერაში ადამიანის ხელები არ მოქმედებენ. მათ მაგიერ მუშაობენ მექანიკური „ხელები“, რომელთაც არ აშინებთ არავითარი გამოსხივება. მათ შეუძლიათ მეტად ფაქიზი სამუშაოს შესრულება. მაგალითად, იღებენ კოლოფიდან ასანთს, ანთებენ და აქრობენ მას.

ატომურ მანქანაზე ყველგან ხედავ მეტად მრავალფეროვან მოწყობილობებს.

რაც არ უნდა მოხდეს რეაქტორზე, ყველაფრის შესახებ სწრაფად და შეუცდომლად გვაცნობებენ ეს მდუმარე და მორჩილი ელექტრონული მსახურები. მაგრამ ხელსაწყოები არა მარტო გვაცნობებენ, თუ როგორ მუშაობს დანადგარი, არამედ ავტომატურად ინახავენ მასში რეაქციის საჭირო სიჩქარეს, დატვირთვას, წყლის ხარჯვას, ტემპერატურას. თუ კი წარმოიქმნება ხიფათი და საჭირო გახდება რეაქტორის გაჩერება, ავტომატური მოწყობილობა გააკეთებს ამას ერთ წამზე ნაკლებ დროში.

რადიაქტიური სხივები და მტვერი ძალიან ძნელი აღმოსაჩენია, ადამიანის გრძნობის ორგანოები აქ უძლურია. მაგრამ მათ დასახმარებლად მოდის სპეციალური ხელსაწყოები — ატომური საფრთხის ელექტრონული მზვერავები. მათ გააჩნიათ ისეთი მგრძნობიარობა, რომლის წარმოდგენაც კი ძნელია. თუ კი ჰაერში აღმოჩნდება რადიაქტიური ნაწილაკი, რომლის წონა გრამის მემილიარდედი ნაწილია, ისიც კი აღმოჩენილ იქნება ელექტრონული „თვალით“. ასეთი ხელსაწყოები რეაქტორზე ბევრია. ისინი აქ მეტად საპასუხისმგებლო სამუშაოს ასრულებენ.

ატომური მანქანის აგება რთული და ძნელი საქმეა. მის შექმნაში ქართველ ფიზიკოსებს ძალიან დაეხმარნენ რუსი მეცნიერები, რომელთაც ამ საქმეში მდიდარი გამოცდილება აქვთ. ეს გამოცდილება მათ გადასცეს ქართველ მეგობრებს — ჩვენი რესპუბლიკის ფიზიკოსებს.

დანადგარს, ქართველი ფიზიკოსების ხელმძღვანელობით, აგებდნენ რუსთავისა და თბილისის ოსტატები და მუშები.

თბილისის ატომური რეაქტორი წარმოადგენს საბჭოთა ადამიანების გონებისა და მარჯვე ხელების კიდევ ერთ შესანიშნავ ქმნილებას. იგი გვიჩვენებს რა მაღალ დონეზე დგას ჩვენს ქვეყანაში მეცნიერება და ტექნიკა.

ჯადოსნური მანქანა გვეხმარება ატომგულის მძლავრი ძალების დამონებისათვის ბრძოლაში, იმისათვის, რომ ეს ძალები ყოველთვის ხალხის კეთილდღეობას და მშვიდობის საქმეს ემსახურებოდნენ.

ბ. შაჭბერაშვილი



# დაეხმარე უფროსებს საოჯახო საქმეებში

პირველი საფეხურის პიონერმა საოჯახო საქმეების გაკეთება უნდა იცოდეს. ამ მოთხოვნის შესასრულებლად საჭიროა იყოთ დაკვირვებული, ყურადღებით ადევნოთ თვალყური უფროსებს, დაუკვირდეთ როგორ აკეთებენ ისინი თავიანთ საოჯახო საქმეებს, შემდეგ თავად უნდა მიიღოთ მონაწილეობა უფროსების საქმიანობაში. უფროსები სახლში დაღლილი ბრუნდებიან, მათთვის დიდი დახმარება იქნება, თუ ოთახი დასუფთავებული, ჭურჭელი დაწმენდილი და საწოლები ალაგებული დახვდებათ. ზოგჯერ ბიჭები უარს აცხადებენ და ამბობენ,— საოჯახო საქმე მხოლოდ გოგონების საქმეაო. მაგრამ ეს სწორი არაა.

## როგორ დავალაგოთ ოთახი

სანამ ოთახის დალაგებას შევუდგებოდეთ, გავაღოთ ფანჯარა და, პირველ რიგში, ლოგინი ავალაგოთ. ფანჯრის რაფები და მოუპირკეთებელი ავეჯი სველი ჩვრით გავწმინდოთ, მოპირკეთებული ავეჯისათვის კი



რბილი, მშრალი ჩვარი გამოვიყენოთ. რბილი ავეჯი ჯაგრისით უნდა გაიწმინდოს.

შეუღლებავი იატაკი ყოველდღიურად უნდა სველი ცოცხით დავგავოთ, ხოლო კვირაში ერთხელ საპნიანი თბილი წყლით მოვრეცხოთ, შემდეგ სუფთა ჩვრით მოვამშრალოთ. ლინოლიუმდაგებული იატაკი კი ტრიკოტაჟის ნაჭრით მოვწმინდოთ. პარკეტი იწმინდება გლიცერინისა (1-ნაწილი) და წყლის (9-ნაწილი) თბილ ხსნარში ამოვლებული ნაჭრით. შემდეგ ასეთი ნაჭერი უნდა გავაშროთ და იმით მოვაპრიალოთ იატაკი, რადგან იგი კარგად იკრებს მტვერს.



იატაკის მშრალი ცოცხით დაგვა არ შეიძლება, რადგან ამ შემთხვევაში მტვერი ჰაერში ადის და ავეჯსა და სხვა ნივთებს ედება.

ფანჯრის მინები კი უმჯობესია დაჭმუჭნული ქაღალდით დავწმინდოთ.

## როგორ გავშალოთ სუფრა

სადილის წინ მაგიდაზე კარგად დაუთოებული სუფრა უნდა გადავაფაროთ. მაგიდაზე კერძი სასურველია ერთნაირი ზომის, ფორ-



მისა და მოხატულობის თეფშებით მოვიტანოთ: თეფშები ისე უნდა განვალაგოთ, რომ მაგიდასთან მსხდარნი თავისუფლად გრძნობდნენ თავს და ერთმანეთს ხელს არ უშლიდნენ.

თეფშიდან მარჯვნივ დააწყეთ კოვზი და დანა მჭრელი პირით თეფშისაკენ, ხოლო მარცხნივ ჩანგალი გაზნექილი მხარით ზევით.

სადესერტო კოვზი დადეთ თეფშის წინ, წყლის სასმელი ჭიქა მარჯვნივ. მაგიდის შუაში უნდა დააწყოთ თხლად დაჭრილი პური, წყლის ჭურჭელი, სალათი, მწვანილი, სამარილე. ხელსახოცი დადეთ თეფშებზე, ანდა მარჯვნივ, დანისა და კოვზის ქვეშ.

## ჭურჭლის გასაშრობი ჩარჩო

თეფშებზე, რომელსაც გარეცხვის შემდეგ ნაჭრით ვამშრალებთ, ხშირად რჩება ნაჭრის ბუსუსები. ამის თავიდან ასაცილებლად უკეთესია ვიხმაროთ სპეციალური საშრობი დგამი. ასეთ დგამზე თავისით გამშრალი თეფშები უფრო სუფთაა და ჰიგიენური. აი, სწორედ ასეთი დგამია ნაჩვენები ჩვენს სურათზე.

ხის ოთხი ნაჭრისაგან მზადდება ჩარჩოები, რომლებზედაც დააჭედებთ ფანერისაგან გამოჭრილ ფილებს. ოღონდ ფანერას წინდაწინ უნდა გაუკეთოთ ამონაჭრები, სადაც თეფშები ჩაეწყობა.



რ. ნინუა

# შეისწავლეთ ხალხური ზეპირსიტყვიერება

დადგა პიონერული ზაფხული. დასასვენებლად და სხეულის გასაკაჟებლად გიხმობთ პიონერული ბანაკები, სოფლები, აგარაკები. ბევრ სასარგებლო შრომას გასწევთ იქ, საკოლმეურნეო მინდვრებში, ბაღ-ვენახებში, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებში...

თუ მოისურვებთ, ბევრი საინტერესო წამოწყების ინიციატორი შეიძლება გახდეთ. აი, თუნდაც ხალხური ზეპირსიტყვიერების შეგროვების საქმე! ეს განსაკუთრებით მესამე საფეხურის პიონერთა საქმეა.

„შეაგროვე და ჩაიწერე ანდაზები, თქმულებები, შაირები, ზღაპრები, ხალხური სიმღერები.“—ასეთი მოთხოვნა გაქვთ წამოყენებული პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხაში.

ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ჩაწერას დიდი მნიშვნელობა აქვს. მის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ერის ზოგიერთი ისტორიული ამბის დადგენა, ხალხის ფიქრისა და ოცნება-სწრაფვის, მისი ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების გაცნობა, შესწავლა. მასალის ენობრივი მხარე კი ენის განვითარების ისტორიის შესწავლაში გვეხმარება.

ადგილზე ჩასვლისას, უპირველესად ყოვლისა, უნდა გამოძებნოთ მთქმელი, ესე იგი პიროვნება, რომელმაც იცის ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. მთქმელთან კარგად მომზადებული უნდა მიხვიდეთ. ყოველ თქვენგანს ცალ-ცალკე უნდა ჰქონდეს რვეული და რამდენიმე წვერწათლილი ფანქარი. ეს იმიტომ რომ, ფანქრის წვერის წათლისას არ შევაფერხოთ მთქმელის თხრობა. ვეცადოთ, მასალის ჩაწერისას მთქმელის ყურადღება არ გავფანტოთ შეკითხვებით. ხომ შეიძლება,—ამით მთქმელს განწყობა შეეცვალოს, აზროვნების ძაფი გაუწყდეს. მასალის ჩაწერა შეგიძლიათ ცალკეც და კოლექტიურადაც—რამდენიმე პიონერთან ერთად. კოლექტიურად ჩაწერისას ყველა ცალ-ცალკე აწარმოებს მოსმენილის ფიქსირებას, მერე ტექსტის შედარება ხდება. მსგავსი ტექსტები რჩება ძალაში. ჩაწერისას თუ რომელიმე სიტყვა გარკვევით ვერ გაიგონეთ, მის ადგილას წერტილები დასვით აი, ამგვარად: ( . . . . . ) და ჩაწერა განაგრძეთ. შემდეგ, შემოწმების მიზნით, ჩაწერილი მთქმელს წაუკითხეთ. აი, სწორედ მაშინ აღადგენთ უნებლიედ გამოტოვებულ სიტყვას.

კარგი იქნება, რომ მასალის ჩაწერისას მხედველობიდან არ გაუშვათ მთქმელის რეპლიკა ამბავის რომელიმე მოქმედი გმირის, ან რომელიმე მოვლენის მიმართ. ასე მაგალითად, დადებითი გმირისადმი: „იმის სულს დავენაცვლე“, ან უარყოფითი გმირის მიმართ ნათქვამი: „ის სულწაწყმედილი.“ მასალის ჩაწერა უნდა მოხდეს მთქმელის მეტყველების ზუსტი დაცვით, საკუთარი ცვლილებების შეტანისა და ლიტერატურული შესწორების გარეშე. მაგალითად, დასავლეთში იტყვიან „წევიდა“, თქვენც ასე უნდა ჩაწეროთ; აღმოსავლეთში იტყვიან: „შააძლებინა“, თქვენც ასე უნდა ჩაწეროთ.

ჩაწერილ მასალას უნდა გაუკეთდეს პასპორტი, ესე იგი მიეთითოს მთქმელის გვარი, სახელი, მამის სახელი, წლოვანება, სად მუშაობს, სად მოისმინა ეს მასალა. იქვე უნდა აღინიშნოს მასალის ჩაწერის ადგილი და თარიღიც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოთ ახალი, საბჭოთა ფოლკლორის ნიმუშების ჩაწერას.

ფოლკლორული მასალის ჩაწერას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როდესაც მისი შესწავლა და გაანალიზება ხდება, როგორც შინაარსობრივი და ენობრივი თვალსაზრისით, ასევე მხატვრული ღირებულების მხრივაც. რასაკვირველია, თქვენ ვერ მოგთხოვთ, რომ საკვლევი მუშაობა ჩაატაროთ, მაგრამ, შესაძლებლობის ფარგლებში, შეგიძლიათ იმის დადგენა, თუ რამდენად ცნობილია თქვენს მიერ ჩაწერილი მასალა (ფოლკლორულ ნიმუშთა კრებულების გაცნობის საფუძველზე), ან რა ცვლილება განიცადა მან, რა ხასიათისაა მასალა, რით დაიმსახურა შენი მოწონება, ყურადღება.

კარგი იქნებოდა აგრეთვე, ცოტა რამ გეთქვათ ტექსტის ენობრივ მხარეზედაც, მაგალითად: ამოგეწერათ თქვენთვის უცნობი სიტყვები, განგემარტათ მისი მნიშვნელობა, ამოგეწერათ ზოგიერთი კუთხური გამოთქმა და მოგეძებნათ მისი ლიტერატურული შესატყვისი. ასეთი მუშაობა შესაძლებლობას მოგცემთ უფრო ნათლად დაინახოთ, თუ რა თავისებურება ახასიათებს კუთხურ მეტყველებას და როგორი უსწორო ფორმები გააჩნია მას ლიტერატურულ ენასთან შედარებით. ეს დაგეხმარებათ ენის უკეთ დაუფლებაში.

ბავშვებო, გახსოვდეთ, რომ ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალების ჩაწერა მეტად საპატიო საქმეა. ასეთი მუშაობით სასარგებლო წვლილს შეიტანთ ხალხური შემოქმედების შესწავლის საქმეში — ამაში პრაქტიკამ დაგვარწმუნა: წლების მანძილზე, მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითს რესპუბლიკურ კონფერენციაში მონაწილეობის მიზნით, რაიონის მოსწავლეები გზავნიან ხალხური ზეპირსიტყვიერების მათ მიერ ჩაწერილ ნიმუშებს. აი, თუნდაც ცაგერის რაიონის სოფელ ჩხუტელის საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლის თალიკო გუგავას მიერ წელს გამოგზავნილი კრებული: „ადგილობრივი ზეპირსიტყვიერება—შელოცვები, თქმულებები და კილოკავები“. ზოგიერთი ნიმუში, მეცნიერ ფოლკლორისტების შეფასებით, სრულიად ორიგინალური არის, როგორც თემატურად, ისევე შინაარსითაც. ასეთია, მაგალითად, ლოცვა ცეცხლისა.

თქვენც ხომ შეგიძლიათ ასეთი მოწონება დაიმსახუროთ თქვენი ნამუშევრებით, ბავშვებო!

ლ. პაიჭაძე

# საბედისწერო ნადირი



ნახ. შ. ცხადაძისა

**ვ. ბიანკი**

ამბობენ: მეორმოცე დათვი — საბედისწეროაო.

კიპრიანე უმეცარი კაცი იყო და ამ ცრურწმენისა სწამდა. მას შემდეგ, რაც ოცდამეცხრამეტე დათვი მოკლა, გადაწყვიტა დათვებზე ნადირობაზე ხელი აეღო და მათთან შეხვედრას ერიდებოდა. სანადიროდ მხოლოდ მაღლა მთებში იწყო სიარული.

ალტაის მთებში, იქ, სადაც კიპრიანე ცხოვრობდა, ყოველ ნადირს თავ-თავისი ადგილი აქვს. დათვი დაბლა ცხოვრობს, შავ, ანუ ფოთლოვან ტაიგაში. მაღლა მთაში, სადაც სოჭი იწყება, და უფრო მაღლა, სადაც მხოლოდ კედარიღაა, დათვს იშვიათად შეხვდები.

თოვლიანი მწვერვალების სიახლოვეს კედარიც კი ველარ ძლებს, მიწას ეკვრის, მხოხავ ბუჩქებად ერთხმის ცივ კლდეებს. აქ დათვი კიდეც რომ ნახო, არ უნდა შეგეშინდეს: ეს მისი სამფლობელო აღარაა, აქ იგი თვითონ გაურბის ადამიანს. იშვიათად, ზაფხულის პაპანაქებაში თუ ამობობღდება მაღლობზე, სადაც ზურმუხტოვანი მოლის მეზობლად მზის შუქზე თვალისმომჭრელად ელვარებს ხასხასა მთის თოვლი; უყვარს ცივ, თოვლიან ლოგინზე წამოგორება, კოტრიალი, ხშირბეწვა ქურქიდან რწყილების გამოძევება. ჰოდა, თუ აქ ადამიანის სუნი ეცა, მოქუსლავს კურდღელივით, მშობლიურ ტაიგისაკენ დაეშვება.

სამაგიეროდ, ამ სუსხიან მაღლობებზე ყოველთვის ნახავთ წაწვეტებული, უკან გადაზნექილი, მკლავის სიგრძე რქებით შემკულ ვეებერთელა მთის ვაცს. აქვე ძოვს პაწაწა ურქო ირემიც — ეს ქაბარღაა.

ჰოდა, ქაბარღასა და მთის ვაცზე იწყო ნადირობა კიპრიანემ იმის შიშით, ვაი თუ საბედისწერო მეორმოცე დათვმა მომიღოს ბოლოო. დადგა ივნისი — დათვთა ქორწილის დრო. მოხუცი მონადირე ბილიკებისაკენ გაეშურა, ტაიგას თავი აარიდა, გაყვა კლდოვან ციცაბო ბილიკს, რომელიც ძაფივით იკლაკნებოდა მთის კალთებზე და ზედ კიპრიანეს ქოხამდე ჩამორბოდა. ამ დროს დათვები მძვინვარებენ და მათთან შეხვედრა განსაკუთრებით სახიფათოა.

ნადირობა იღბლიანი გამოდგა. კიპრიანემ მოკლა მოზრდილი მთის ვაცი, წამოიკიდა ზურგზე და იმავე ბილიკით ფრთხილად გაუდგა გზას სახლისაკენ. მისი ცალლულა თოფი ტყვიით იყო გატენილი. ყოველი შემთხვევისათვის კიდევ ორი ტყვია ჰქონდა შემონახული.

ბილიკი ისეთი ვიწრო იყო, რომ ერთმანეთს ორი კაცი მხარს ვერ აუქცევდა.

ზემოდან ბილიკს მოშიშვლებული, გლუვი კლდე გადმოჰფარებოდა, კიპრიანეს ფეხქვეშ კი უძირო უფსკრულს დაეღო პირი.

სწორედ აქ, ამ სახიფათო ბილიკის მოსახვევში, სრულიად მოულოდნელად შეეჩეხა მონადირე თავის მეორმოცე დათვს.

ზურგზე კიპრიანეს დიდი ტომარა ეკიდა მოკლული ვაცით. თასმები მხრებში ჩაჭროდა — ვერ მოიძრობდა, მობრუნება და უკან დახევაც შეუძლებელი იყო.

სხვა გზა არ იყო: უნდა ესროლა.

მაგრამ მოხუც მონადირეს არ შეეძლო უცებ დაეძლია „მეორმოცის“ შიში.

მის წინ, მოსახვევში მოჩანდა შავი, ბანჯგვლიანი თავი. მოულოდნელმა შეხვედრამ დათვი, ეტყობა, კიპრიანეზე არა ნაკლებად გააკვირვა. დათვი უცებ შედგა. მობეცო, პატარა თვალებს მოუსვენრად აქეთ-იქით აცეცებდა, დრუნჩი აუთამაშდა, რამდენჯერმე დაბალი, უფრო შიშისა, ვინემ მუქარის, ღმუილი აღმოხდა.



არც დათვს შეეძლო უკან გაბრუნება.

ან ადამიანი, ან ნადირი უნდა უფსკრულში გადაჩეხილიყო, რომ ცოცხლად დარჩენილისათვის გზა გახსნილიყო.

კიპრიანე მაინც აყოვნებდა, არ ისროდა: იმედს არ კარგავდა, რომ დათვი უკან-უკან დაიხევდა და გაეცლებოდა.

მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდა: დათვმა უფრო ხმამაღლა დაიღმუვლა. ნადირი შეტევაზე გადმოვიდა.

კიპრიანემ სწრაფად მომარჯვა თოფი, ფეხებით მაგრად მიებჯინა ქვას—და დათვს შუბლში ესროლა.

ერთ წამს კვამლში გაეხვია ნადირი.

როცა კვამლი გაიფანტა, დათვის თავი აღარ ჩანდა.

კიპრიანემ ყური მიუგდო უფსკრულს, მაგრამ მძიმე სხეულის დაცემის ხმა ვერ გაიგონა. თუმცალა ამ გარემოებამ არ შეაშფოთა იგი: დაბლა ქვებს ეხეთქებოდა, ღრიალებდა სწრაფი მთის მდინარე.

კიპრიანემ შვებით ამოისუნთქა: გზა თავისუფალი იყო. „საბედისწერო“ მეორმოცე დათვსაც გადაურჩა.

სანამ გზას განაგრძობდა, კიპრიანემ ისევ გატენა ტყვიით თავისი ცალლულა.

ხოლო როდესაც თოფს თვალი მოაშორა და აიხედა, ბილიკის მოსახვევიდან ისევ გამოსცქეროდა დათვის ბანჯგვლიანი თავი.

კიპრიანემ საკუთარ თვალებს არ დაუჯერა: მისმა ტყვიამ ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენა ნადირს. ისევ ისე აფშეკოდა ჯაგარა ბეწვი შუბლზე — განკაწრიც კი არ ემჩნეოდა. ოღონდ პატარა თვალები ამღვრეოდა ბოროტად.

მონადირე აღარც დაფიქრებულა, თოფი მომარჯვა და მოსხლიტა ჩახმახი - სწორედ იმ დროს, როდესაც ნადირმა ხახა დააღო და მისკენ დაიძრა.

შემზარავი ღმუილი, ისეთი ღმუილი, როგორიც მოხუც მონადირეს თავის სიცოცხლეში არ გაეგონა, მოისმა კვამლის თეთრი ღრუბლიდან.

ნადირის თავი გაქრა.

ხელის გული გაუოფლიანდა, მუხლები აუკანკალდა კიპრიანეს.

მაინც თავს ძალა დაატანა და ისევ გატენა თოფი. თან, შეძრწუნებული, თვალს არ აშორებდა ბილიკის მოსახვევს. ნება-ნება გამოჩნდა ჯერ შავი, ნესტოებდაბერილი ცხვირი, მერე ნადირის ელვარე, მოწითალო თვალები და ფართო შუბლი — სისხლის არცერთი წვეთი არ ჩანდა აბურძგნულ ბეწვზე.

თითქოს რაღაც ჯადოსნურმა ძალამ ააცილა საბედისწერო დათვს მოხუცი მონადირის ტყვიები.

ნადირი — ასე ეჩვენებოდა კიპრიანეს — ყოველი ნასროლი ტყვიის შემდეგ მხოლოდ იზრდებოდა, თავი სულ უფრო და უფრო დიდი უხდებოდა. და, თუ პირველად იგი მონადირის ჩექმების სიმაღლეზე გამოჩნდა, ახლა—მისი მკერდის სიმაღლეზე იყო.

კიპრიანემ მესამედ ესროლა ნადირს პირდაპირ — დაბჩენილ ხახაში.

ეს უკანასკნელი ტყვია იყო: ვაზნები გამოილია.

საშინელი ღმუილი გამეორდა.

მონადირე ლამის იყო ჭკუაზე შეიშალა. აღარ ესმოდა რას აკეთებდა, დაუტენავი თოფით ხელში მიიწევდა წინ: სურდა შებმოდა საზარელ ნადირს — ბარემ ბოლო მოღებოდა ყველაფერს.

მოსახვევში ნაბიჯის გადადგმა და დათვთან პირისპირ შეყრა ერთი იყო. და სწორედ ამ დროს მოხდა ის, რასაც კიპრიანე არ მოელოდა: უშველებელმა ნადირმა შიშნარევად, უცნაურად დაიღრუტუნა, გახტა და სწრაფად იწყო ბილიკის გასწვრივ უკან-უკან დახევა.

კიპრიანე წინ მიიწევდა, თუმცალა, ვერ ბედავდა მეტისმეტად მიახლოვებოდა დათვის დაკრეჭილ კბილებს.

ნადირის სხეული იგრიხებოდა, მიყვებოდა ბილიკის თითოეულ მოსახვევს. კიპრიანე წინ-წინ მიიწევდა.

უცებ ლავგარდანი გაფართოვდა. დათვი მარჯვედ შეტრიალდა, შეაქცია ზურგი კიპრიანეს, გაიქნია მოკლე კუდი და უჩვეულო სისწრაფით მოჰკურცხლა კედარის ბნელი ტყისაკენ.

როდესაც კიპრიანემ ლავგარდანის დასასრულს მიაღწია, დათვი უკვე გაუჩინარდა ტყეში. განცდილი შიშის შემდეგ მონადირე მთვრალივით ბარბაცებდა და მთის ძირამდე ძლივს ჩააღწია.

იქ, ღრმა ხეობაში, მდინარის კლდოვან ნაპირას წააწყდა კიპრიანე ტყვიით შუბლშენგრეულ თავის სამ დათვს: საბედისწერო მეორმოცეს, ორმოცდამეერთეს, და ორმოცდამეორესაც, სამივეს ერთად.

თურმე ლავგარდანზე ძუ დათვს სამი დათვი მოჰყვებოდა. მათგან მხოლოდ უკანასკნელს, მეოთხეს შეეძლო დახევა, რადგან მას უკან აღარავინ მოჰყვებოდა.

თარგმნა თ. გორდელაძემ.

# გავამრავლოთ ყვავილები

ყვავილი, ეს ულამაზესი მცენარე, ძველთაგანვე ადამიანის უცვლელი და საყვარელი მეგობარია, მისი კარმიდამოსი და ოთახის მშვენება. მაგრამ განა მარტო სილამაზეშია ყვავილის ღირსება! აბა, შეიხედეთ წარმოება-დაწესებულებებში, ფაბრიკა-ქარხნების საამქროებში: იქ მრავალ ყვავილსა და ყვავილნარს ნახავთ. ეს იმიტომ, რომ ყვავილები სწმენდენ ჰაერს, საამო სურნელებით ავსებენ გარემოს. ეს კი ძალას, ენერგიას მატებს ადამიანს, ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

მეგობრებო, მოდით, შევუდგეთ ყვავილების გამრავლებას! ოთახში, აივანზე, ფანჯრის რაფაზე და ეზოში პაწაწინა ბაღ-წალკოტის მოწყობა დიდ შრომას როდი მოითხოვს!

ვისაუბროთ იმ ყვავილებზე, რომელთა გამრავლება თქვენ ადვილად შეგიძლიათ ეზოს ყვავილნარებში.

**ციცინო-აგერატუმი** — რთულყვავილოვანთა ოჯახს ეკუთვნის. მისი მრავალრიცხოვანი სახეებიდან შედარებით უფრო გავრცელებულია მექსიკური სახეობა. მისი ჯიშები 50 სანტიმეტრის სიმაღლისა იზრდება.

ციცინოს ბეწვისებრი ნაზი ყვავილები, რომლითაც ბუჩქი მთელი ზაფხულის განმავლობაშია დაფარული, ლურჯი, ცისფერი ან თეთრია. ციცინო ყვავილობს უხვად, ხანგრძლივად და ხშირად მაისის თვიდან გვიან შემოდგომამდე.

ციცინო მრავლდება თესლითაც და კალმებითაც. თესვა სათბურში შეიძლება თებერვალ-მარტში; გარეთ, კვალში კი — აპრილში. საჭიროა ნათესარის ორჯერ გადარგვა, მხოლოდ ფესვი უნდა შევუკვერცხოთ. საერთოდ, ციცინო ადვილად იტანს გადარგვას.

თუ თესლის დამზადება გსურს, ციცინოს დაყვავილებული, ხმელი ყვავილი უნდა მოვჭრათ, მოვფშვნიტოთ, გავანიავოთ და ქაღალდის პარკებში მშრალ ადგილას შევინახოთ.

ზიზილა — მრავალწლიანი მცენარეა, მას ადრეული ყვავილნარების (თებერვალ-აპრილში) მოსაწყობად იყენებენ. იგი რთულყვავილოვანთა ოჯახს ეკუთვნის.

მშრალი ამინდების დროს ზიზილას ყვავილები უწვრილდება და ივნის-ივლისში სხვა ერთწლიანებითა სცვლიან. ზიზილა ბუთხუზა ყვავილებიანია, თეთრი, პირისფერი და წითელი ჯიშებისა. თითო საყვავილე, ღეროზე კალთებად შეკრებილი ყვავილი, სიმაღლით 15 სანტიმეტრს აღწევს. მისი ახალი ჯიშის ზოგიერთი ყვავილი ისეთი დიდი ზომისაა, რომ ასტრას წააგავს, მისი ფესვისეული ფოთოლი მოგრძოა.

ზიზილას ყვავილნარებში ზოლების მოსაწყობად იყენებენ, მცირე ზომის ყვავილნარებში კი ხშირად ზიზილას მთლიან ნარგავებსაც იყენებენ.

ადრეული გაზაფხულის ყვავილნარებისათვის ზიზილას თესენ ზაფხულში და სულ მალე, 7—12 დღეში ამოდის. ჩითილი რომ მოღონიერდეს, საჭიროა ორჯერ ჯგუთვა; დაკოკრებული ან აყვავებული მცენარე საბოლოო ადგილზე შეიძლება დეკემბრის პირველ რიცხვებში ან თებერვალ-მარტშიც დაირგას. დარგვისას ისინი 15—20 სანტიმეტრით უნდა დავაცილოთ ერთმანეთს. ზიზილა ჩვენში კარგად ზამთრობს, არ მოითხოვს ადგილმდებარეობისა და ნიადაგის დიდ შერჩევას.

**ИР. ხმალაძე,**
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყვითელი პრესა

გამოთქმა ცრუ, მყვირალა, ათასგვარი სკანდალური სენსაციის გამავრცელებელი ბურჟუაზიული პრესის აღსანიშნავად იხმარება. ყვითელი პრესის დანიშნულებაა თავბრუ დაასხას მკითხველს, მოაცილოს იგი სერიოზულ საზოგადოებრივ საქმეებზე ფიქრსა და ზრუნვას.

ეს გამოთქმა პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში, მე-19 საუკუნის ბოლოს იხმარეს.

ნიუ-იორკის ერთმა გაზეთმა — «უოლდმა», იმ მიზნით, რომ როგორმე გამორჩეულიყო სხვა გაზეთებიდან და რაც შეიძლება მეტი მკითხველი მიეზიდა, 1895 წელს პირველ გვერდზე ყვითელპერანგა ბავშვის სურათების მოთავსება დაიწყო. ბავშვი მკითხველს ათასგვარ არაბავშვურ ამბებს უყვებოდა. ეს სხვა გაზეთებსაც მოეწონათ და მალე «ყვითელი ბიჭი» გაზეთ «ნიუ-იორკ ჯორნალის» ფურცლებზედაც გაჩნდა.

«ყვითელი ბიჭის» გამო ამ გაზეთებს ყვითელი პრესა უწოდეს, შემდეგ კი ეს ტერმინი საერთოდ მთელი ბურჟუაზიული პრესის აღმნიშვნელად გადაიქცა.

## დათვური სამსახური

გულწრფელი, მაგრამ უგუნური სამსახური, დახმარება, რომელსაც სარგებლობის ნაცვლად ზიანი მოაქვს ხოლმე.

გამოთქმა განსაკუთრებით გავრცელდა მას შემდეგ, რაც ი. კრილოვმა დასწერა იგავი: «დათვი და მეუდაბნოე». მასში მოთხრობილია, რომ, სურდა რა ესიამოვნებია მეგობრისათვის, დათვმა შუბლიდან ბუზის მოსაცილებლად მას თავში ლოდი დაარტყა.

## საზარბაზნე ხორცი

ასე ეძახიან ჯარისკაცებს, რომელთაც იმპერიალისტები ძალით ან მოტყუებით თავიანთი ინტერესების დასაცავად საბრძოლველად ჰგზავნიან.

ეს გამოთქმა შექსპირის ნაწარმოებ «ჰენრიხ მეოთხედან» მოდის. უსინდისო, ლოთი ფალსტაფი პრინცს ჯარისკაცებზე ეუბნება: «ისინი ღირსნი არ არიან, რომ შუბზე წამოაგო. საზარბაზნე ხორცი! საზარბაზნე ხორცი!»

ეს გამოთქმა ფრანგ მწერალს შატობრიანსაც აქვს ნახმარი. იგი ჰყვება, რომ ნაპოლეონის დროს ჯარისკაცის სიცოცხლე არაფრად ფასობდა: «ცოცხალი ადამიანისადმი სიძულვილი იმ ზომამდე ავიდა, რომ ახალწვეულებს საზარბაზნე ხორცს უწოდებდნენო», — ამბობდა შატობრიანი.




**კ. გოგიაშვილი**

ნახ. თ. სამსონაძისა

ბავშვებო, ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში, კულტურისა თუ პიონერთა სახლებში თოჯინების თეატრის არაერთი თვითმოქმედი წრე ჩამოყალიბდა, რომლებიც თავიანთ წარმოდგენებს წარმატებით უჩვენებენ ნორჩ მაყურებლებს. კ. გოგიაშვილის პიესა «ნამცეცა», რომელსაც აქ ვბეჭდავთ, სწორედ ასეთი წრეებისათვის არის გამიზნული. ამ პიესის დადგმა ჩვეულებრივ დრამწრეებშიც შეგიძლიათ მცირეოდენი ცვლილებით.

ზღაპარი 3 მოქმედებად და 7 სურათად

**მ ო ქ მ ე დ ნ ი:**

ონისიმე — გლეხი.
მარიამი — მისი ცოლი.
ნამცეცა — მათი შვილი.
ქაიხოსრო — ბატონი.
მიხო — მამასახლისი.
ნოშრევანი — მისი შვილი.
მამაო სამსონი — მღვდელი.
თევზი — ლოქო.
თოლია — ნამცეცას ძაღლი.

**სოფლის ბიჭები და ბატონის კაცები.**

მოქმედება წარმოებს ძველ საქართველოში.

## მ ო ქ მ ე დ ე ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი

### ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

მდინარის ნაპირი. ტირიფის ხე. ურმიდან ხარები გამოუშვიათ და იქვე ბალახობენ. ნამცეცა ანკესებს ამზადებს. იქვე ჩაცუცქულა თოლია. ონისიმეს მხარზე თოხი გადაუდვია და წასასვლელად ემზადება.

ონისიმე: — აბა, ყოჩაღად იყავი, შვილო, ხომ იცი, ბატონის ყანაში ხარები არ შეგეპაროს, თორემ — მშვიდობით ნიშავ და ნიკორავ. მე ყანაში ვიქნები. საღამო ხანს დავბრუნდები.

ნამცეცა: — ნუ გეშინია, მამი, ჭკვიანად ვიქნები. (იქვე ჩამოჯდება და წყალში ანკესს ისვრის).

თოლია: — ჰამ, ჰამ, ჰამ!..

ნამცეცა: — ეჰეი, თოლია... თევზაობის დროს ხმაური არ შეიძლება, თევზი დაფრთხება. გაიგე?

თოლია: — ჰამ, ჰამ, ჰამ...

ნამცეცა: — კიდევ! ჩუმად იყავი! ჰე, ანკესს რაღაც მოედო! (ამოჰკრავს) ცარიელია... თევზს ჭია შეუჭამია, ახლავე დავაგებ. (დააგებს და ანკესს წყალში გადაისვრის.) ეეე... ანკესი მიაქვს... (ეწევა) ვაიმე! ლამის მეც წამიყვანოს... თოლია, მომეშველე... (თოლია ხალათში ჩააფრინდება და უკან ეწევა. რის ვაი-ვაგლახით თევზს ნაპირზე ამოათრევენ. თევზი სხმარტალებს, მდინარისაკენ იწევს, ნამცეცა ებრძვის. შემოდის ნოშრევანი.)

ნოშრევანი: — ოჰო, კარგა მოზრდილი ლლავი დაგიჭერია... ეგ ჩემი იყოს, შენ სხვა დაიჭირე.

ნამცეცა: — ვითომ და რათა! აგერ წყალი, მოიტანე ანკესები და ითევზავე.

ნოშრევანი: — არა, მე თუ სულელი არა ვარ, რა ბევრს გალაპარაკებ. (მიუახლოვდება). ხელი გაუშვი!..

ნამცეცა: — ცოცხალი თავით არ დაგანებებ!..

ნოშრევანი: — გაუშვი-მეთქი... (ხელსა ჰკრავს).

ნამცეცა: — თოლია, ეცი!..

თოლია: — ჰამ, ჰამ, ჰამ... (ეცემა და კბენს, ნოშრევანი იგერიებს).

ნოშრევანი: — მაშ აგრე, არა?! ძაღლის იმედითა ხარ?! ბიჭი არ ვიყო, თუ არ განანო! (გარბის).

ნამცეცა: — არიქა, თოლია, ჩქარა, მამას დაუძახე, თორემ თევზი მიძალიანდება.

თოლია: — ჰამ, ჰამ... (გარბის. ნამცეცა კვლავ თევზს ებრძვის. ცულს წამოავლებს ხელს, უნდა თავში დაჰკრას... თოლია შარვალში ჩაფრენია ონისიმეს და ექაჩება).

ონისიმე: — რა იყო, თოლია?.. ვაიმე, ნამცეცას თევზი უპირებს შეჭმას. (თევზი პირს დააღებს და ნამცეცას ცულიანად გადაყლაპავს) ვაიმე, შვილო, დავიღუპე... ნამცეცა, ჩემო ნამცეცა! (თევზი მდინარეში ჩასვლას ცდილობს, თოლია თევზის გარშემო დარბის, შემდეგ ხარებს ყეფით მოიყვანს) ნიშავ და ნიკორავ, თევზმა ნამცეცა შეგვიჭამა... მომეხმარეთ ჩემო საყვარელო ხარებო! (ხარები ზმუილით თევზს ზევიდან რქებს დააჭერენ. შემოდის მამასახლისი ცხენით. შემოჰყვება ნოშრევანი).

მიხო: — ჰეი, ვინ მოგცათ ნება ბატონის წყალში თევზაობისა!

ონისიმე: — რა დროს ეგ არის, შე დალოცვილო, ჩემი გაჭირვება მეყოფა.... ამ თევზმა შვილი ჩამიყლაპა.

მიხო: — კარგადაც უქნია, ახია თქვენზე... შე ბრიყვო, აქამდე არ იცი, რომ ეს წყალიც ბატონისაა და თევზიც? ჩქარა, ხა-



რები შეაბი, თევზი ურემზე დაუდე — ბატონს უნდა მივართვა.

ონისიმე: — ნუ დამღუპავ, მამასახლისო... შენი მუხლების ჭირიმე! (ფეხებში ჩაუვარდება).

მიხო: — იქით!.. (მათრახს გადაჰკრავს) ნოშრევან, ბიჭო, ურემში ხარები შეაბი!..

ნოშრევანი: — ახლავე, მამი!.. (უნდა შეაბას, ხარი ურქენს). ვაიმე, მამი... მირქინა.

მიხო: — მაგ გიჟ არს მიხედე, ბავშვი არ დამიშავოს, თორე... ჩქარა შეაბი ხარები!..

ონისიმე: — ოღონდ ბიჭი გადამირჩინე და ყველაფერს ვიზამ! (შეაბამს ხარებს).

მიხო: — ბიჭო, ნოშრევან... მიეხმარე... დაუდეთ ეგ თევზი. (ნოშრევანი ეხმარება ონისიმეს და რის ვაი-ვაგლახით თევზს ურემზე დაუდებენ)... გადაჰკარ სახრე მაგ ტიალ ხარებს და გზას გავუდგეთ ბატონისაკენ.

ონისიმე: — ნუ დამღუპავ, მამასახლისო...

მიხო: — გამორეკე-მეთქი!.. ბიჭო ნოშრევან, ხარებს წინ გაუძეხი, ჩქარა...

ონისიმე: — სად მიგყავს ეგ ურემი, შე ულმერთო! ბატონთან მისვლამდე შვილი დამეღუპება...

მიხო: — გამორეკე-მეთქი!.. (მათრახს გადაჰკრავს, ურემი მიდის, უკან ხვეწნით მისდევს ონისიმე. თოლია ურმის გარშემო დარბის და ჰყეფს).

## სურათი მეორე

ბატონის კარ-მიდამო... მარანი. საწნახელში თევზი დგაფუნობს. იქვეა მოზრდილი ბუხარი.

ქაიხოსრო: — ის გლეხი ხომ გააგდეთ?..

მიხო: — გავაგდეთ და სახრით კარ, ლაზათიანად გვერდებიც ავუჭრელეთ, ბატონო...

ქაიხოსრო: — ყოჩაღი ბიჭი ყოფილა ეს შენი ნოშრევანი... კარგ დროზე შეგვატყობინა... ამოდენა თევზი, ხუმრობა ხომ არაა. მერე მომაგონე და დავასაჩუქრებ.

მიხო: — თქვენი წყალობა მუ მომაკლოს, ბატონო, გამჩენმა.

ქაიხოსრო: — ჭურისთვის თავი უკვე მოუხდიათ. დღეს სასიძოს მოველი და სწორედ მშვენიერ დროს. ამ თევზის სიდიდე და სილამაზე ხელმწიფესაც შეშურდება.

მიხო: — დიახ, ბატონო.

ქაიხოსრო: — წყალი ყოველდღე ვუცვალოთ და როგორმე ქორწილამდე შევინახოთ... ხომ კარგი იქნება?

მიხო: — ჭკვიანი რომ ბრძანდებით, ბატონიც იმიტომა ხართ.

ქაიხოსრო: — შენ აქ დარჩი, ნოშრევან, და ჩემს კაცებს ღვინის ამოღებაში მიეხმარე... (მიდის)



მიხო: — აბა, შენ იცი, ბატონს როგორ ასიამოვნებ. ფრთხილად იყავი, ვეშაპივით თევზია, ახლოს არ მიეკარო. (გადის).

ნოშრევანი: — მესმის მამი... (ბუხართან ჩამოჯდება... უეცრად თევზი ადგაფუნდება, ნოშრევანი შიშით ბუხარში შეძვრება. თევზი საწნახლიდან თავს გადმოჰყოფს, პირს დააღებს და ნამცეცას თავის ცულიანად გადმოისვრის).

ნამცეცა: — გადავრჩი.

თევზი: — ჰეი... მისმინე ნამცეცავ... გახსოვს, ხუთიოდე წლის წინათ პატარა რომ დამიჭირე, შეგეცოდე და გამიშვი? იმ სიკეთისათვის აჰა, ეს ლამაზი თვალ-მარგალიტი! გონებას მოგიმატებს და კეთილ გზაზე გატარებს.

ნამცეცა: — სიზმარში ვარ თუ ცხადში!..

ნოშრევანი: — (ყურს უგდებს ლაპარაკს) ახლა კი ველარსად წამიხვალ, ნამცეცავ...

თევზი: — ნურავისი და ნურაფრის შეგეშინდება, სიმართლეს ისეთი ძალა აქვს, წინ ვერავინ აღუდგება. წადი, გაიხარე... (პირიდან ამოვარდება მოელვარე თვალ-მარგალიტი).

ნამცეცა: — ბრჭყვიალა თვალ-მარგალიტი!.. (აიღებს) რა ლამაზია, რა კარგია!.. გმადლობ, კეთილო თევზო, გმადლობ!.. ვინ იცის, ჩემმა მშობლებმა გამომიტირეს კიდეც... აბა, დროს რაღად ვკარგავ... შინ წავალ, ჩვენებს გავახარებ... (წასვლას აპირებს, წინ გადაუდგება ნოშრევანი).

ნოშრევანი: შესდექ!..

ნამცეცა: აქ საიდან გაჩნდი?..

ნოშრევანი: ყველაფერი გავიგონე... ველარსად წამიხვალ... მომეცი ჩქარა თვალ-მარგალიტი...

ნამცეცა: — შენ რად გიყვარს ხოლმე სხვისი წართმევ-წაგლეჯა, მამაშენი ხომ არა ხარ!

ნოშრევანი: — რაო?! შე მართლა ნამცეცა!.. (ეცემა)

ნამცეცა: — ხელი-მეთქი... (ხელს ჰკრავს, ნოშრევანი თავახდილ ჭურში ჩავარდება).

ნოშრევანი: — მიშველეთ!.. ვიხრჩობი... მამაა...

ნამცეცა: — (კართან მიდის, უნდა გავიდეს, მაგრამ შემობრუნდება) მოდიან... ნუთუ აქედან ვერ გავალ... აგერ, ბუხარი... (შეძვრება შიგ. შემორბის მიხო).

მიხო: — რა ამბავია?!

ნოშრევანი: — მამი!.. მიშველე!..

მიხო: — (ამოიყვანს) რა მოგივიდა, აქ რა გინდა შვილო?

ნოშრევანი: — ნამცეცა გაიქცა... თევზმა პირიდან ისროლა, ცოცხალი, ნამდვილი ნამცეცა... ამ თევზმა ჯადოსნური თვალ-მარგალიტი აჩუქა... შემდეგ ყველაფერს გიამბობ... მომყევი მამა... (გარბის).

მიხო: — ეჰეი, მდევრები! მდევრები, ჩქარა!.. (გარბის).

## მოქმედება მეორე

### სურათი მესამე

ბატონის ალაყაფის კარები... უკანა პლანზე მოჩანს სასახლე. მთვარიანი ღამეა. გამოდის ბატონი.

ქაიხოსრო: — ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ ის კუდიანი... მამასახლისო, არსადა ჩანს?

მიხო: — მდევრები ყველა მხარეს ვაფრინე, ჯერჯერობით არაფერი ისმის. ჩემმა ბიჭმა მითხრა: თევზს თურმე იმ ჯადოსნური თვალ-მარგალიტის გარდა, სხვაც მრავალი ჰქონია კუჭში, მაგრამ, თუ თევზი მოკვდა, ის განძეულიც მაშინვე გაქრებაო.

ქაიხოსრო: — ყველგან შეჰკარით გზები... ჩემი ადგილ-მამული ისე დაცულია, რომ აქედან ჩიტიც კი ვერ გადაფრინდება...

მიხო: — შენ აქ დარჩი, ნოშრევან.

ნოშრევანი: — კარგი მამი...

ქაიხოსრო: — ვინც იმ ციცქნა ბიჭს დაიჭერს, საჩუქარი ჩემზე იყოს.

მიხო: — ხომ გაიგონე, ბიჭო!

ნოშრევანი: — გავიგე, მამ!

ქაიხოსრო: — აქეთ მომყევი, მამასახლისო...

მიხო: — მოვდივარ, ბატონო... (გადიან).

ნოშრევანი: — ნეტავ რა იქნება ის საჩუქარი, ჰა! ვინ იცის, იქნებ ის კოხტა შავი კვიციც მაჩუქოს. (მოისმის კვიცისებური ჭიხვინი. უცბად ალაყაფის კარის სახურავიდან გადმოხტება სახეგამურული ნამცეცა, ნოშრევანს წინ დაუდგება, ემანჭება, აშინებს და თან ჭიხვინებს).

ნამცეცა: — ააა... ეეე... იიი...

ნოშრევანი: — ვაიმე!.. მიშველეთ... ეშმაკი... ქაჯი... მიშველეთ! (წაიქცევა, შემორბიან ქაიხოსრო და მიხო. ნამცეცა ხეს ამოეფარება).

მიხო: — რა ამბავია?!

ქაიხოსრო: — რა მოხდა?.

ნოშრევანი: — (ხელით ანიშნებს) ეეე... ეეე...

მიხო: — რა იყო, ბიჭო, ხმა გაგვეცი!..

ნოშრევანი: — ეეე... ეეე...

მიხო: — ვაიმე, ბატონო, დავიღუპე... ავი სული გამოცხადებია და შიშით ენა ჩავარდნია.

ქაიხოსრო: — რაებსა როშავ! აქ, ამ კურთხეულ ედემში ავ სულს რა უნდა? (უცებ გამოხტება ნამცეცა, ჭიხვინებს და ხტის). მამასახლისო... ავი სული... ავი სული... ჭინკა... მოჰკიდე ხანჯალს ხელი...

მიხო: — ჭინკაა... ნამდვილი ჭინკა... თფუი ეშმაკს... თფუი ეშმაკს!..

ნამცეცა: — თფუი მამასახლისს, თფუი ბატონს...

ქაიხოსრო: — მამასახლისო, ჩემსკენ მოდის... მიშველეთ... ეჰეი... მი...შველე...თ...



(ნამცეცა კვიცივით დაიჭიხვინებს, შეკუნტრუშდება და გაიქცევა).

მიხო: — (პირჯვარს იწერს) დიდება შენდა ღმერთო...

ქაიხოსრო: — მამასახლისო, ჩემი კვიცი გაკუდიანებულა... ხომ გესმის, როგორ ჭიხვინებს... ჰეი, ხალხო, მამასახლისო, მომეხმარეთ, დამაჭერინეთ ჩემი კვიცი...

მიხო: — რისი კვიცი, ბატონო, რას ბრძანებთ... თვალსა და ხელს შუა გაგვიქრა ჭინკა-ბიჭი... ის ხომ ნამცეცა იყო.

ქაიხოსრო: — ნამცეცა? ეგ როგორ?! დაიჭირეთ ნამცეცა... არ გაუშვათ კვიცი!..

### სურათი მეოთხე

ონისიმეს კარ-მიდამო. ეზოში სიმღერით შემოდის ნამცეცა:

მოვალ, მოვალ, მოვდივარ,
პაწაწინა ნამცეცა,
მშობლებსა და მეგობრებს
გულს არ დავწყვეტ არც ერთსა.

(თოლია გაბმით უყეფს. ნამცეცა ეფერება. გამოდის მარიამი).

მარიამი: — ვის უყეფს ეს ძაღლი ასე თავგამოდებით?

თოლია: — ჰამ, ჰამ, ჰამ...

ნამცეცა: — თოლია... თოლია... ვერ მიცანი?

მარიამი: — (მიუახლოვდება) რომელი ხარ?

ნამცეცა: — მე ვარ, დედა...

მარიამი: — ეს მოჩვენება ვინ არის? მიშველეთ... (გარბის).

ნამცეცა: — მე ვარ, დედა... ნუ გეშინია...

ონისიმე: — რა ამბავია... დაგწყევლოს ეშმაკმა, ამ ჭინკას აქ რა უნდა...

(იღებს კეტს და უნდა დაარტყას).

ნამცეცა: — მამა... რას შვრები... მე ხომ ნამცეცა ვარ...

თოლია: — (იცნობს) ჰამ, ჰამ, ჰამ...

ონისიმე: — ნამცეცა?! ცოცხალი ხარ?

მარიამი: — შვილო...

ნამცეცა: — დედა... (გადაეხვევიან. ხარები გამოდიან).

ონისიმე: — შვილო, ნამცეცა, როგორ გადარჩი, შენ გენაცვალოს მამა! მითხარი, რას გევხარ, ბიჭო?!

ნამცეცა: — ტანსაცმელი გამომაცვლევინეთ, პირი დამაბანინეთ, ყველაფერს გიამბობთ. აი, შეხედეთ! (თვალ-მარგალიტს ამოიღებს) თევზმა დამასაჩუქრა.

მარიამი: — რისთვის, შვილო?

ნამცეცა: — კეთილი ხარო, რა ვიცი... ეს თვალ-მარგალიტი კეთილ ხალხს გზას გაუნათებს და მტერს თვალებს დაუბრმავებსო. აბა, მამი, შენთან იყოს, გაჭირვების დროს დაგეხმარება.

მარიამი: — შენ გენაცვალოს დედა, ჩემო მოხერხებულო ბიჭო! თევზმა მართლა ჩაგყლაპა, შვილო?

ნამცეცა: — ჩამყლაპა, მაშ! მაგრამ თვითონვე გადამარჩინა და დამასაჩუქრა კიდეც. (ხარებს და თოლიას ეფერება. მღერის)

ნამცეცა ვარ პატარა,
თევზმა კუჭით მატარა,
ხარები და თოლია
რა ერთგული მყოლია!

(ხელპირს იბანს, ტანსაცმელს იცვლის) ბატონის კაცები დამედევნენ, მაგრამ, თქვენს მტერს, იმათ დღე დავაყარე. ბატონს ჭინკა ვეგონე, ხან თავისი შავი კვიცი. (ერთბაშად ეზოში ბატონის კაცები შემოვარდებიან ცხენებით).

1-ლი: — გიპოვნეთ და ეგ არის... ვეღარსად წაგვიხვალ...

2-რე: — შესდექ!

ნამცეცა: — დედა... მამა... მიშველეთ...

მარიამი: — რას გვაწიოკებთ! რას გვერჩით! რა გინდათ ამ ბავშვისაგან!..





ეროვნული ბიბლიოთეკა

ონისიმე: — რას გვემართლებით!..

1-ლი: — მაგისაგან შეშინებული ბატონი ახლაც მომაკვდავი წევს, თავზე მამაო სამსონი ადგას და ღმერთს მის გადარჩენას ევედრება.

2-რე: — წამოდი, დაარწმუნე ბატონი, რომ ის ჭინკა ნამდვილად შენ იყავი.

1-ლი: — მამასახლისიც მწარედ მოთქვამს — ნოშრევანი დამუნჯდა და ხმას ვედარ იღებსო.

ნამცეცა: — მე იქ არ წამოვალ.

2-რე: — არ წამოხვალ და ძალით წაგიყვანთ. ის რაღაც ჯადოსნური მარგალიტი გქონია...

ნამცეცა: — მამი, მომეცი თვალ-მარგალიტი. (გამოართმევს). გადაეცით: ნამცეცა არ მოდის-თქო!

1-ლი: — ერთი ამას ვერ უყურებთ?!

2-რე: — რაებს გვიბედავს ეგ დალეული...

ნამცეცა: — აბა, გაბედეთ და ხელი მახლეთ!..

(ბატონის კაცები წინ იწევენ, მაგრამ ცხენები ადგილიდან არ იძვრიან).

1-ლი: — აჩუ, აჩუ, შე სამგლევ!..

2-რე: — ცხენები გააქვავა ამ კუდიანმა!

ნამცეცა: — რაო, ვერ მოდიხართ? რას გაშეშდით?... აუ, შენი გულისა! დედი, ხომ ხედავ, რა შეუძლია თევზის ნაჩუქარს!

2-რე: — დაგვიანებისათვის მოგვკლავს ბატონი.

ონისიმე: — ჰოდა, თუ მოგკლავთ, გადაეცით, რომ წყალიც ხალხისაა და თევზიც.

1-ლი: — ყველაფერს ვეტყვით, ოღონდ ახლა გაგვიშვი.

2-რე: — რასაც გვთხოვ, შეგისრულებთ.

ნამცეცა: — კარგი. აი, ამ თვალ-მარგალიტს მამაჩემს ჩავაბარებ. აჰა, მამა, კარგად შეინახე.

ონისიმე: — ვაიმე, გამივარდა...

1-ლი: — (ცხენიდან დაიხრება, თვალ-მარგალიტს აიღებს და ნამცეცას ცხენზე აიტაცებს) თვალ-მარგალიტი ჩემს ხელშია. აბა, თუ არ წამოხვალ, ამასაც ვნახავთ.

2-რე: — გავსწიოთ!.. (მიდიან).

ნამცეცა: — დედა... მამა... მიშველეთ...

მარიამი: — ვაიმე, შვილო...

ონისიმე: — ნამცეცა... ნამცეცა...

ფ ა რ დ ა

## მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ს ა მ ე

### ს უ რ ა თ ი მ ე ხ უ თ ე

ბატონის საწოლი ოთახი... ქაიხოსრო წევს და ბორგავს. აქვეა მღვდელი. ნოშრევანი ბუზებს უგერიებს. შემოდის მამასახლისი.

მიხო: — ის თევზი ანგრევს იქაურობას, ბატონო... როგორც ჩანს, ნამცეცას შეპყრობის ამბავი გაუგია.

ქაიხოსრო: — როგორ? შეიპყრეს ის კუდიანი ბიჭი?

მიხო: — დიახ, აგერ, მოჰყავთ კიდეც...

(შემოიყვანენ გათოკილ ნამცეცას)

ქაიხოსრო: — ოჰო, მოიყვანეთ ეგ მაწანწალა?

1-ლი: — მოვიყვანეთ და ჯადოსნური თვალ-მარგალიტიც მოგართვით... (აძლევს)

2-რე: — ყოვლისშემძლეა...

ქაიხოსრო: — (გამოართმევს) რა ლამაზია!.. როგორ ბრჭყვიალებს!.. ალბათ იმ თევზს მთელი შიგნეული სავსე აქვს ამ ძვირფასი ზანძით. გესმის, მამაო? ეს რა ღვთისწყალობაა ჩვენს თავზე...

სამსონი: — კურთხეულ არს სახელი შენი, უფალო... ეს რაები მესმის...

ქაიხოსრო: — ბიჭო, თევზის კუჭში რომ იჯექი, არ დააკვირდი, ასეთი თვლები ხომ კიდევ ბლომად ჰქონდა?

ნამცეცა: — დიახ, ბატონო... უთვალავი...

ქაიხოსრო: — გახსოვს, რომ შემაშინე? ჰოდა, თუ გინდა ის უსაქციელობა გაპატიო და გაგათავისუფლო, უნდა ჩახვიდე ისევ იმ თევზის კუჭში და ძვირფასი განძეული ამოიტანო. ხომ გესმის?

ნამცეცა: — მესმის, ბატონო... ხელები შემიხსენით და ეგ თვალმარგალიტი დამიბრუნეთ...

ქაიხოსრო: — არა, კარგი ეშმაკი ბრძანდები... ამას ჩემგან ვერ მიიღებ. ჯერ შეასრულე, რასაც ბატონი გიბრძანებს, და მერე ვნახოთ...

(შემოვარდება ნოშრევანი და შეჰყვირებს)

ნოშრევანი: — ნამცეცა!..

სამსონი: — დიდება შენდა, ღმერთო! ნოშრევანმა დაილაპარაკა!..

ქაიხოსრო: — აკი გითხარი, ეგ ნამცეცა კუდიანია-მეთქი... მაგან დაამუნჯა და მაგანვე ამოადგმევინა ენა...

ნოშრევანი: — ბატონო, მამა ქვევით არის, მარანში, ის თევზი ღრიალებს: ჩქარა, ნამცეცა მომგვარეთო...

ქაიხოსრო: — (კაცებს) ხომ გაიგონეთ... წამოიყვანეთ... (მიათრევენ).

ნამცეცა: — ვაიმე... მიშველეთ. სად მიგყევართ... დამიბრუნეთ ჩემი თვალ-მარგალიტი, დამიბრუნეთ...

ქაიხოსრო: — ნუ აყვირებთ, მაგ არამზადას... გაათრიეთ... (ყველანი გადიან).

### ს უ რ ა თ ი მ ე ე ქ ვ ს ე

მარანი. აქ არიან ბატონის კაცები, ბატონი, მღვდელი, ნოშრევანი და ნამცეცა. შემოდის მამასახლისი.

მიხო: — ბატონო... ბატონო ქაიხოსრო... მთელი სოფელი, თქვენი ალაყაფის კართანაა შეყრილი...

ქაიხოსრო: — რა გვინდაო...

მიხო: — თევზისა და ნამცეცას ამბავი გაუგიათ და იძახიან: ის უდანაშაულო ბიჭი გაათავისუფლეთო...

ქაიხოსრო: — რაო? კარგა ხანია მაგათთვის ზურგი არ ამიჭრელებია... მათრახი მონატრებიათ!..

თევზი: — (დაიღრიალებს) მომეცით ნამცეცა... ნამცეცა მომეცით, ჩქარა... მომეცით თუ გსურთ ძვირფასი განძეული!

ნამცეცა: — ვაიმე... ნუთუ გამიმეტა... მომეცით ჩემი თვალმარგალიტი!..

ქაიხოსრო: — არ გესმით, თქვე რეგვენებო... მომეცით ნამცეცაო... თქვენც აიღეთ და პირდაპირ ხახაში ჩასჩარეთ...

(ბატონის კაცები თოკს შეხსნიან ნამცეცას).

ნამცეცა: — ვაიმე...

(თევზი პირს დააღებს და ნამცეცას პირში ჩაუგდებენ. თევზი გადაყლაპავს).

ქაიხოსრო: — დიდხანს არ გვალოდინო... მალე ამოგვიტანე განძეული!

(ნამცეცა თავს ამოჰყოფს თევზის პირიდან).

ნამცეცა: — ბატონო, იქ ისე ბნელა,



რომ ვერაფერს ვხედავ... მომეცით ეგ თვალ-მარგალიტი... გზას გამიშუქებს და უამრავ განძეულსაც მოგართმევთ...

მიხო: — მიეცით, ბატონო... ეგ თევზი ჩვენს იქით სად წავა...

ქაიხოსრო: — შენ რაღას იტყვი, მამაო სამსონ?

სამსონი: — მივცეთ. თევზიც ხომ ჩვენია და მის მუცელში მომწყვდეული ქონებაც...

ქაიხოსრო: — აჰა... (აძლევს... თვალ-მარგალიტი აშუქებს თევზის პირს და ნამცეცა წინ მიიწევს).

ნამცეცა: – (თევზის პირიდან) ბატონო... ბატონო...

ყველა: — რა ამბავია?

ნამცეცა: — ბატონო, თევზის კუჭმა მოგახსენათ, თვითონ ბატონი ჩამობრძანდეს და წაიღოს, შენ ვერ გენდობიო...

ქაიხოსრო: — რაო?

მიხო: — ტყუის ეგ ჭინკა... ტყუის!..

ნამცეცა: — თუ ვტყუი, აქ ჩამობრძანდი, შენი თვალით ნახე და შენი ყურით მოისმინე...

მიხო: — რაო?

სამსონი: — ჰოდა, ჩადი, ღმერთი მოწყალეა...

ქაიხოსრო: — რისა გეშინია, აქ არა ვარ!

მიხო: — ნუ დამღუპავ, შენი მუხლების ჭირიმე, ბატონო...

ნოშრევანი: — ცოდვაა მამაჩემი, ბატონო.

ქაიხოსრო: — ჰეი... კაცებო... არ უყურებთ რა ერთგული მამასახლისი მყოლია?! ურჩობა როგორ გამიბედა!.. აიღეთ და პირდაპირ ხახაში ჩაუშვით... (ბატონის კაცები იჭერენ მიხოს და თევზს ხახაში ჩაუგდებენ).

ნოშრევანი: — ვაიმე, მამა...

სამსონი: — აბა, ვნახოთ, რას ამოგვიტანს ჩვენი და ღვთის ერთგული მამასახლისი.

ნამცეცა: — (თავს გამოჰყოფს თევზის პირიდან) ჰეი, გესმით?

ყველა: — რა ამბავია?!

ნამცეცა: — კუჭმა ბრძანა, თვითონ ბატონი ჩამობრძანდესო!

ქაიხოსრო: — ტყუის, ტყუის... მამასახლისი რაღა იქნა.

მიხო: — აქა, ვარ, ბატონო, (თავს გამოჰყოფს) ნამცეცა მართალს მოგახსენებთ.. უნდა ჩამობრძანდეთ... თვალები კინაღამ დამიბნელდა, იმდენი თვალ-მარგალიტია...

ქაიხოსრო: — მართლა? აბა, ჩქარა, ჩქარა... ჩამიშვით ხახაში... მომეხმარეთ...

(ჩადის თევზის პირში)

ნამცეცა: — მამაო... თქვენც ჩამობრძანდით, თორემ ისინი ღორმუცელები არიან, არაფერს შეგინახავენ... თან ამდენ ძვირფას, უთვალავ განძს კურთხევა ხომ უნდა... ჩამობრძანდით...

სამსონი: — მართალი ხარ, ბიჭიკო. ორთავე გამოცდილი მყავს. კარგად ვიცი, ვინცა ბრძანდებიან...ამე თვით თუ არ ვიზრუნე ჩემს თავზე — მაგათ იმედზე ჩემი მტერი იქნა... სახელითა მამისათა,, და ძისათა ღვთისათა... (პირჯვარს იწერს) ღმერთო, შენ იყავ ჩემი მფარველი!..

ნოშრევანი — მამა... მამააა...

ნამცეცა: — (თავს გადმოჰყოფს თევზის პირიდან) რა იყო, ნოშრევან, მამას ეძახი? მამა კი შენ გეძახის — შენღა აკლიხარ...

ნოშრევანი: — სად არიან?

ნამცეცა: — იქ, ძვირფას განძეულს ინაწილებენ... წამოდი, რისა გეშინია.

ნოშრევანი: — ეშმაკი ხარ, გვატყუებ...

ნამცეცა: — ნებით თუ არ ჩამოხვალთ, ძალით წაგიყვანთ (გადმოხტება თევზის პირიდან).

1-ლი: — არიქა, თავს ვუშველოთ!..

2-რე: — გავიქცეთ!..

ნოშრევანი: — მოგვატყუა ამ დალეულმა... გვიშველეთ!.. (სამივენი გარბიან).

თევზი: — ნამცეცა... (ნამცეცა შემობრუნდება) თავი დაანებე... მაგათ თავიანთი შური და ბოროტება დაღუპავთ... ეს სიმდიდრე, რომელსაც ახლა მოგცემ, ხალხს დაურიგე... ის ხალხს ეკუთვნის... (ჩაქრება სინათლე და თევზის განათებულ ხახიდან ცვივა ძვირფასი, თვალისმომჭრელი მარგალიტები და თვლები). ხალხს დაუძახე, ნამცეცა, ხალხს და, სადაც გეტყვით, იქ წამიყვანეთ...

ნამცეცა: — რა ძვირფასი მარგალიტებია! ახლავე, ახლავე, ჩემო ერთგულო თევზო, ახლავე მოვიყვან ხალხს და გზას გავუდგეთ საითაც გვეტყვი. (კარს აღებს, გადის და წინ შემოუძღვება ხალხს. თევზი პირიდან კვლავ აფრქვევს განძეულს... შემოდის მარიამი და ონისიმე).

მარიამი: — ნამცეცა... (გადაეხვევა).

ონისიმე: — შვილო... (გადაეხვევა).

ნამცეცა: — ჩემო საყვარელო დედა და მამა!..

(გადაეხვევიან ერთმანეთს. შემოვარდება თოლიაც).

თოლია: — ჰამ, ჰამ, ჰამ...

ნამცეცა: — შენც აქა ხარ? მოდი ჩემო ერთგულო თოლია. (გადაეხვევა) მეზობლებო, კეთილმა თევზმა ეს განძეული ჩვენ გვაჩუქა, აიღეთ, გაინაწილეთ, იგი თქვენ გეკუთვნით...

(ხალხი კვლავ უცქერის თევზს, რომელიც პირიდან აფრქვევს მოელვარე თვალ-მარგალიტებს).

## სურათი მეშვიდე

მდინარის ნაპირი... ურმით შემოჰყავთ თევზი. კოფოზე ზის ნამცეცა. აქ არიან: ონისიმე, მარიამი და სოფლელები.

ნამცეცა: — მამა, იქ მოვედით, სადაც ეგ თევზი დავიჭირე...

თევზი: — მდინარეში შემაცურეთ... ჩქარა...

ონისიმე: — აბა, ხალხო, მომეხმარეთ...

(თევზს წყალში ჩაუშვებენ)

თევზი: — ჩემს კუჭში რომ სხედან, ამათ მოსვლამდე არაფერი გეტკინოთ... თუ აქამდე არ ესმოდათ, ახლა მაინც გაიგონ, რომ მდინარეც ხალხისაა და მთელი მისი სიმდიდრეც... მშვიდობით, ნამცეცავ!

ნამცეცა: — მშვიდობით... მშვიდობით...

ყველა: — მშვიდობით... მშვიდობით...

(ყველანი უცქერიან, თუ როგორ მიცურავს მდინარეში თევზი და გზადაგზა შხეფებს ისვრის).

ონისიმე: — შენ გაიხარე, შვილო ნამცეცავ, რომ სოფელს ეგ მუქთახორები მოაშორე... რა პატარა ხარ, ერთი ნამცეცა, და რა ყოჩაღი!

ნამცეცა: — პატარა ვარ და გავიზრდები.

ონისიმე: — ადამიანს კეთილი საქმე და შრომა ზრდის, შვილო!

ყველა: — იცოცხლე, ნამცეცავ, გაიხარე...

ონისიმე: — ახლა კი შინისაკენ გავსწიოთ...

ნამცეცა: — წავიდეთ. (შეხტება ურემზე, იქვე შესკუპდება თოლია, ნამცეცა სახრეს გადაჰკრავს ხარებს და წამოიწყებს):

ალარა ვარ პატარა,
თევზმა კუჭით მატარა;
ხარები და თოლია
რა ერთგული მყოლია.

(სცენა ბრუნავს და სოფლის შარაზე სვლას განაგრძობს ნამცეცა, ონისიმე, მარიამი და ხალხი. ნამცეცა სიმღერას განაგრძობს):

ალარა ვარ პატარა,
თევზმა კუჭით მატარა,
ალარა გვყავს ბატონი —
ჩვენ ვართ თავის პატრონი,
ჰეი!

ფარდა



# პინგვინები



ალბათ არცერთ მოგზაურს, ვინც კი ანტარქტიდაში მოხვედრილა, არ გამორჩენია თავის ნაწერებში ეს საინტერესო ფრინველები. პინგვინები ყინულოვანი მატერიკის ფრთოსანთა სამყაროს ყველაზე დამახასიათებელი და მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები არიან.

ბევრ მკვლევარს გატაცებით უდევნებია თვალყური პინგვინების თავისებური ცხოვრებისათვის. აი, ერთ მწკრივად გაჭიმული, 50 – 60 სანტიმეტრი სიმაღლის ფრინველთა გუნდი ყინულზე გადადის. როგორც კი ფხვიერი თოვლის ზოლს წააწყდებიან, პინგვინები მუცელზე წვებიან და იწყებენ ფრთებით, როგორც ნიჩბებით, თოვლის ქექვას, თან ფეხს უბიძგებენ. დაბრკოლების გადალახვის შემდეგ კვლავ ზეზე დგებიან და განაგრძობენ სვლას. წინ ყოველთვის რომელიმე გამოცდილი მეთაური მიუძღვით. თუ გუნდში აღმოჩნდება სუსტი პინგვინი, რომელიც სხვებს ჩამორჩება, მას კი არ მიატოვებენ, არამედ მოუცდიან, რათა ერთად განაგრძონ გზა. მეზამთრეებმა ასეთი სურათიც ნახეს: ერთი პინგვინი, ალბათ ავადმყოფი, თანდათან ჩამორჩა გუნდს; თანამგზავრებმა იგი დატოვეს ხუთი ფრინველის მეთვალყურეობის ქვეშ, რომლებმაც დასუსტებული „ამხანაგი“ ნელ-ნელა, ხანგრძლივი შესვენებით მიიყვანეს დანიშნულ ადგილამდე.

ბევრჯერ უნახავთ, რომ პინგვინების გუნდი, რომელმაც ზღვის ნაპირს მიაღწია, შეჩერებულა და უყოყმანია: ჩავიდეთ წყალში თუ არაო. პინგვინები ხმაურობდნენ, აქნევდნენ პატარა „ხელებს“ — ფრთებს, თითქოს თათბირობდნენ ან დავობდნენ. მაგრამ საკმარისი იყო, ერთი რომელიმე მამაცთაგანი წყალში გადამხტარიყო, რომ მისთვის დანარჩენებსაც მიებაძნათ.

როცა პატარა თევზებით, მოლუსკებითა და ზღვის კიბორჩხალებით გაძღებიან, პინგვინები თავიანთი ბუდეებისაკენ ბრუნდებიან და თან მიაქვთ საჭმელი ბარტყებისათვის. მეტად ღორმუცელები არიან პატარა პინგვინები. ისინი იმდენ საკვებს მოითხოვენ, რომ მის საშოვნელად მიდიან „მამებიც“ და „დედებიც“. საჭმლის მოტანის შემდეგ პინგვინები დიდ გულკეთილობას იჩენენ: ისინი ერთნაირად კვებავენ როგორც თავის ისე მეზობლის ბარტყებსაც. საკვებზე წასვლისას პინგვინები ბარტყების დიდ ჯგუფს ტოვებენ რომელიმე მოზრდილის მეთვალყურეობის ქვეშ. იგი პატარებს იცავს მტაცებელი ფრინველებისაგან, რომლებიც ანგრევენ პინგვინების ბუდეებს, ჭამენ ბარტყებსა და კვერცხებს.

საინტერესოა, თუ როგორ აშენებენ ბუდეს პინგვინები. ჯერ ამოთხრიან პატარა ორმოს, შემდეგ მას გარს შემოუწყობენ ბრტყელ კენჭებს, რომლებიც ნისკარტით მოაქვთ. „სამშენებლო მასალის“ შორიდან ზიდვა, როგორც ჩანს, არ სიამოვნებთ პინგვინებს. ამიტომ თითოეული მათგანი ცდილობს კენჭები მეზობელს მოპაროს. მშვიდი, უწყინარი გამომეტყველების პინგვინი სხვის ბუდესთან მიდის, ვითომ „მშენებლობის“ დათვალიერების მიზნით. მაგრამ, როგორც კი თვალს მოაშორებს მეპატრონე, ქურდი უმალვე მის კენჭებს ეცემა და თავის ბუდისკენ მიაქანებს. ეს გაიძვერობა ყოველთვის როდი რჩება დაუსჯელი. ზოგჯერ ჩხუბიც ჩაღდება, რითაც დაუყოვნებლივ სარგებლობენ სხვა პინგვინები, რომლებიც საჩქაროდ იტაცებენ მოჩხუბართა ბუდეებს.

პინგვინები უსაზღვროდ ცნობისმოყვარენი არიან. ისინი „დაუკითხავად“ მიდიან მკვლევართა ბანაკებში, შეიხედავენ კარვებში, ადიან გემზე. ერთხელ ერთმა პინგვინმა დაინახა თუ არა ავტომარხილი, დიდხანს იტრიალა მის ირგვლივ, მერე გაიქცა თავის საბუდარ ადგილისაკენ და მალე იქიდან დიდი კომპანია მოიყვანა. რომელიღაც მოგზაურმა პატეფონი მომართა. პინგვინები მაშინვე მასთან მიცვივდნენ; აღმოჩნდა, რომ პინგვინები მუსიკისა და სოლისტ-მომღერლების „თაყვანისმცემელნიც“ ყოფილან.

ექსპედიცია „პატარა ამერიკის“ ბაზაში პინგვინები ღრმა ორმოში ჰყავდათ დამწყვდეული. მაგრამ ისინი მაინც ყოველდღე ახერხებდნენ მასიურად გაქცევას. კარგა ხანს ვერავინ მიმხვდარიყო, თუ რა ხერხით ამოდიოდნენ ეს არამფრინავი ფრინველები ციცაბოკედლებიან ორმოდან, რომელიც თავზე ბამბუკის ჯოხებით იყო გადობილი. ერთ დღეს „პინგვინების ფერმის დირექტორს“ მორიგი ახალი ამბავი აცნობეს: ოთხი პინგვინი ბანაკში დასეირნობსო. ყველანი ორმოსთან მიცვივდნენ. მათ ჯერ კიდევ შორიდანვე დაინახეს მიმოწეული ბამბუკის ჯოხები და მათ შორის გამოყოფილი შავი თავი. მაგრამ როგორ ამოვიდა ფრინველი ღრმა ორმოდან? მნახველები საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ, როცა შემდეგი სურათი დაინახეს: პინგვინი თავისი ორი თანამოძმის მხრებზე შემდგარიყო... თურმე პინგვინებს ორმოს თავამდე, ერთმანეთის მხრებზე შედგომით, ცოცხალი პირამიდა აღემართათ, რომლის საშუალებითაც სათითაოდ თავს აღწევდნენ ტყვეობას.




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთი ოკეანის სამი სახელი

წყნარ ოკეანეს პირველად ესპანელმა მეზღვაურმა ვასკო ნუნეს ბალბოამ «სამხრეთის ზღვა» უწოდა—ეს 1513 წელს მოხდა.

1520—1521 წლებში ეს ოკეანე მთელი სიგრძე-სიგანით გადაცურა და გამოიკვლია კიდეც ფერნანდო მაგელანმა. ამ მოგზაურობის დროს ოკეანე მშვიდი იყო. მაგელანმა მას «წყნარი ოკეანე» უწოდა.

1756 წელს ფრანგმა გეოგრაფმა ბუაშმა შეისწავლა ე ოკეანე და მისი სიდიდის გამო (ის 179,7 მილიონ კვადრატულ კილომეტრამდე აღწევს) მას «დიდი ოკეანე» უწოდა. მაგრამ ისტორიულმა გეოგრაფიამ მაინც მაგელანის მიერ დარქმეული სახელი «წყნარი ოკეანე» დააკანონა.

## უცნაური ტომის ხალხი

მეცნიერებს უკანასკნელ დრომდე მიაჩნდათ, რომ მაღალმთიან ადგილებში, რომელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 3.000 მეტრამდეა, შეუძლებელია ადამიანის მუდმივად ცხოვრება, რადგან ჰაერი გაიშვიათებულიაო.

ამ რამდენიმე ხნის წინათ სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე, პერუს მთებში, აღმოაჩინეს ადამიანთა აქამდე სრულიად უცნობი ტომი, რომელიც მთებში 3 360 მეტრის სიმაღლეზე ცხოვრობს. ეს ტომი რიცხობრივად პატარაა, სულ 1.800 სულამდე.

ამ ტომის წარმომადგენლები გამოირჩევიან დაბალი ტანით.მამაკაცთა საშუალო სიმაღლე 152 სანტიმეტრს უდრის, ხოლო თითოეული მამაკაცი წონით 50 კილოგრამია. მათ აქვთ არაჩვეულებრივად განვითარებული მკერდი და ფილტვები.

ამ ტომის წევრები ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან მხოლოდ სირბილით. მხრებით შეუძლიათ ატარონ საკმაოდ მძიმე ტვირთი და სწრაფად იმოძრაონ მთიან ბილიკებზე. ამ ადამიანთა საყვარელი სპორტული გასართობია—შეჯიბრება რბენაში კარტოფილის 70 კილოგრამიანი ტომრით მხრებზე.

## ნიანგი ხმელეთზე

ავსტრალიაში, ზღვიდან თითქმის ასი კილომეტრის დაშორებით, ამასწინათ უცნაური «ხმელეთის ნიანგი» აღმოაჩინეს.

ცხოველს პირველად მატარებელი წააწყდა. მემანქანეს მოეჩვენა, რომ ლიანდაგზე დიდი ხე ეგდო და მატარებელი დაამუხრუჭა. ვაგონებიდან გადმოსულმა ხალხმა შიშით უკან დაიხია: ლიანდაგზე უშველებელი ნიანგი იყო გაწოლილი. იგი მზისაგან გახურებულ რელსებზე თბებოდა. ნიანგთან მიახლოვება ვერავინ გაბედა, მოკვლა კი დაენანათ.



როდესაც გაზეთების საშუალებით ეს ამბავი მთელ ავსტრალიას მოედო, ნიანგს ბევრი სხვა მნახველიც გამოუჩნდა. პოლიციამ ნიანგის მოსანახად გულმოდგინე ძებნა გააჩაღა, მაგრამ უშედეგოდ.

ცხოველი დღემდე ვერ იპოვნეს. რადგან ნიანგს უწყლოდ არ შეუძლია ცხოვრება, მეცნიერები ფიქრობენ, აქ საქმე უნდა გვქონდეს უძველეს ცხოველთა რომელიმე შემთხვევით შემორჩენილ ეგზემპლართან.



## მწერალი—კულინარი

ბევრი თქვენგანი გატაცებით კითხულობს შესანიშნავ სათავგადასავლო წიგნებს: «სამ მუშკეტერს», «გრაფ მონტე კრისტოს», მაგრამ ალბათ არავინ იცის, რომ ამ წიგნების ავტორი—ალექსანდრე დიუმა, საკულინარო საქმის სწორუპოვარი მცოდნე იყო. სიცოცხლის უკანასკნელი წლები მან მთლიანად ამ საქმეს მოანდომა და «დიდი კულინარული ლექსიკონი» შეადგინა. მწერალმა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მრავალი ქვეყანა მოიარა, ამიტომ საკულინარო წიგნში თითქმის მთელი ქვეყნის ხალხთა საჭმელები შევიდა, მათ შორის ბევრი ქართული და კავკასიური.

## აკრობატი თევზი

ეს თევზები ცხოვრობენ მდინარე ამაზონკის იმ ადგილებში, სადაც უზომოდ იზრდება წყალმცენარეები. თევზებმა ეს სახელი მიიღეს იმ უცნაური თვისების გამო, რომელსაც ისინი ქვირითის ყრისას იჩენენ. ქვირითის დასაყრელად ისინი ძებნიან ისეთ წყალმცენარეებს, რომელთა ფოთლები აცილებულია წყლის ზედაპირს. მოგროვდებიან მის ქვეშ, შემდეგ ერთმანეთის დახმარებით ამოხტებიან წყლიდან, შეტრიალდებიან ჰაერში ისე, რომ მუცელი ზემოთ ჰქონდეთ, მიეხლებიან ფოთოლს ქვემოდან, მიაკრავენ ზედ ქვირითს და ისევ წყალში ცვივიან. რამდენიმე წუთის შემდეგ იგივე თევზი ისევ იმეორებს ამ პროცედურას. მთელი ქვირითის დასაყრელად თითოეულ თევზს 15-მდე ახტომა სჭირდება.

შემდგომი ზრუნვა შთამომავლობაზე მამალი თევზების საქმეა. ისინი დროდადრო კუდის მძლავრი მოქნევით წყალს აშხეფებენ ფოთოლზე მიწებებულ ქვირითს, რათა იგი არ გამოშრეს. უკვე მეორე დღის ბოლოს წყალში ცვივა პატარ-პატარა ლიფსიტები.

ბევრი მოყვარული ამჟამად ამ თევზს ოჯახში აშენებს. იგი ძალზე იოლი მოსავლელია. თუ წყალში მცენარეები არაა, აკრობატი თევზები ქვირითს აკვარიუმის სახურავზე ყრიან.

## სიკვდილით სჯიდნენ ფეხბურთის თამაშისათვის

ასეული წლების წინათ ინგლისელი ფეოდალები, სამღვდელოება და ვაჭრები თავიანთი მეფეებისაგან დაჟინებით მოითხოვდნენ აეკრძალათ «ეშმაკის გამოგონება», «ქაჯური თამაში»—ასე უწოდებდნენ ისინი ფეხბურთს. ეს სახალხო გართობა მათ ძალზე არასასიამოვნოდ და სახიფათოდ მიაჩნდათ: იგი ამჭიდროებდა უბრალო ადამიანებს; ხშირად, ფეხბურთის თამაშის საბაბით, ქალაქგარეთ იკრიბებოდნენ არსებული ცხოვრებით უკმაყოფილონი.

დააკმაყოფილა რა ფეოდალების ნება-სურვილი, მეფე ედუარდ მეორემ 1313 წელს აკრძალა ფეხბურთი ქალაქის ფარგლებში. მის ბრძანებაში ფეხბურთი წოდებული იყო როგორც «გაცოფება დიდი ბურთით». ამის შემდეგ თამაში ტარდებოდა ქალაქგარეთ—მეფის შერიფებისაგან შორს.

1389 წელს ფეხბურთი აკრძალა რიჩარდ მეორემ. ფეხბურთის თამაშისათვის დაწესდა მკაცრი სასჯელები, თვით სიკვდილით დასჯაც კი! ხალხმა მეფეს არაერთხელ მიართვა პეტიციები თხოვნით, გაეუქმებინა კანონი, რომელიც ფეხბურთს კრძალავდა, მაგრამ ამაოდ—ფეხბურთის აკრძალვა ძალაში დატოვეს შემდგომმა მეფეებმაც: 1399 და 1401 წლებში ჰენრიხ მეოთხემ, 1413 წელს—ჰენრიხ მეხუთემ, 1449 და 1455 წლებში—ჰენრიხ მეექვსემ, 1471 წელს—ედუარდ მეოთხემ; ხოლო ჰენრიხ მერვემ გამოსცა ბრძანება, რომლითაც არამარტო მოთამაშეები ისჯებოდნენ, არამედ იმ ტერიტორიის მფლობელნიც, სადაც ფეხბურთს ითამაშებდნენ.

მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ იფიქრეს მეფეებმა და მინისტრებმა, რომ გაცილებით სჯობია ხალხი ფეხბურთით იყოს გართული, ვიდრე პოლიტიკითა და ამბოხებებით. და 1643 წელს ინგლისში ფეხბურთის თამაში კანონით დაშვებული იქნა.



## ლოკოკინა

ლოკოკინა ოცი მეტრის სიმაღლე ხეზე მიცოცავდა. ყოველდღე იგი ხუთ მეტრს გადიოდა, მაგრამ ოთხ მეტრს უკანვე იხევდა. რამდენ დღეში ავიდოდა ლოკოკინა ხის წვერზე?



## რა უფრო თბილია

რა უფრო თბილია, — ბუმბულის თუ შალის ქსოვილი?



## საით მიდის ტრამვაი?

ეს ნახატი მხატვარმა ორი ფოტოსურათიდან გააკეთა, რომლებზეც წამის რამდენიმე შუალედში გადაღებული იყო ტრამვაის ერთი და იგივე ვაგონი. დააკვირდით ნახატს და სთქვით, რომელი მიმართულებით მიდის ტრამვაი? ამასთან იგულისხმეთ, რომ პირველად მარცხენა სურათია გადაღებული.



## ჯიუტი მგზავრი

ერთ მგზავრს თვითმფრინავით მგზავრობისას გულის ჯიბესთან, იმ ადგილას, სადაც ავტოკალამს ინახავენ ხოლმე, მელნის დიდი ლაქა გაუჩნდა. ჯერ კიდევ თვითმფრინავში ჩაჯდომამდე იგი გააფრთხილეს, რომ ავტოკალამი მელნისაგან დაეცალა. რა მოხდა, რატომ გამოჟონა მელანმა ავტოკალმიდან?



## ეგებ თქვენ მიხვდეთ

რედაქციაში ერთი მოსწავლის წერილი მოვიდა: „მე გადავწყვიტე მზეზე გაშავება ისე, რომ ოთახიდან არ გამოვსულიყავი და ფანჯარასთან მზეს მივეფიცხე, — წერს იგი, — მაგრამ, წარმო-



იდგინეთ ჩემი გაოცება: ნახევარი დღე ვიჯექი და მზე მაინც არ მომეკიდა. რატომ არ მომეკიდა მზე?"

ეგებ თქვენ მიხვდეთ, ბავშვებო!

## თ ა ვ ს ა ტ ე ხ ი

გადე ასანთის ღერი ჭიქის ნაპირსა და ასანთის მეორე ღერზე ისე, როგორც ეს ნაჩვენებია ნახატზე. ახლა შენს მეგობარს სთხოვე აიღოს ჭიქა და მოსვას ორი ყლუპი წყალი ისე, რომ ასანთის ღერი არ ჩამოვარდეს.

ვინც საიდუმლო არ იცის, შენი წინადადებით უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება.



## კ უ ს გ ზ ა

შავი კუ თეთრებთან მიდის; მან ყველა უჯრა უნდა გაიაროს, მაგრამ ისე, რომ თავისი განვლილი გზა არსად არ გადაჰკვეთოს.

როგორ უნდა იაროს კუმ?



## შ ა რ ა დ ა

აშოლტილი ხე არის,
ყველას ხიბლავს იგი.
ჩვენს ქუჩებს და ხეივნებს
გადევს მათი რიგი.

თუ მეორე თანხმოვანს
შესცვლი შენ სხვა ბგერით,
სახელია ნადირის,
გამოცნობას ველი.

**შ. ამირანაშვილი**

## პ ა ს უ ხ ე ბ ი

**ორი ნათურა.** ლურჯი ფერის მინა ატარებს სპექტრის მხოლოდ ლურჯ სხივებს, დანარჩენს კი შთანთქავს, ამიტომ ლურჯი ნათურა ჩვეულებრივზე მეტად ხურდება ხოლმე.

**გამოცანა-ხუმრობა** — 1—999; 2—1888.

**პატეფონის ნემსი თუ ორთქლმავალი?** — პატეფონის ნემსი ფირფიტას კვადრატულ სანტიმეტრზე დაახლოებით ტონა სიმძიმით აწვება. ეს გაცილებით მეტია ორთქლმავლის ბორბლის დაწოლის ძალაზე.

**სახუმარო კითხვები.** 1. სიზმარი; 2. მუნჯი; 3. გირიანი საათი; 4. დამდგარი საათი; 5. გიას ჰყავდა სამი და; 6. გძინავს?

**აბა გამოიცანით?**

კოლმეურნეები ერთმანეთს დაინახავენ.




რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ | ფასი 2 მან.

„ПИОНЕРИ" детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина. № 7, 1959. Тбилиси, пр. Плеханова, 91. მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ 3—81—85.

უე 05911. ტირ. 15.000. ქორმათა რაოდ. 4½. ხელმოწერ. დასაბ. 8/VII-59 წ. სტამბის შეკვ. № 769. გამომც. შეკვ. № 320. საქ. ც. კ.-ის გამომცემლობის პ. კომბინატი „კომუნისტი"

# იუმორი








ნახატი-ხუმრობები
ე. ამბოკაძისა

პოლონელი მხატვრის—ლენგრენის ალბომიდან.





ეროვნული ბიბლიოთეკა